ალეკო დოლბაია

ჰორიზონტს მიღმა

ლექსები

ალეკო დოლბაია

ჰორიზონტს მილმა

თბილისი 2021

რედაქტორი:	ივანე ამირხანაშვილი
მხატვრული რედაქტორი:	გვანცა დოლბაია
ტექნიკური რედაქტორი:	გოჩა სოზიაშვილი
ყდის მხატვრობა:	თამარ შიუკაშვილი
ყდის დიზაინი:	დავით გვასალია

გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 2021

ISBN 978-9941-9409-8-9

© დოლბაია ა., 2021

ავტორისაგან

ჰორიზონტი წარმოსახვითი ხაზია, რაც უფრო უახლოვ-დები, მით უფრო გშორდება...

მატერიალურ, ფიზიკურ გარემოში წარმოუდგენელია ჰორიზონტს მიღმა გადაიხედოს კაცმა. ამის შესაძლებლობას იძლევა სულიერება და ხელოვნება.

ჩემთვის სწორედ პოეზიაა ასეთი ხედვის საშუალება და ლექსების ამ კრებულით ჩემს მიერ ჰორიზონტს მიღმა დანახულ სამყაროს ვთავაზობ მკითხველს.

წიგნი გამოიცა ჩემი უახლოესი მეგობრის ზურაბ ალანიას და მისი მეუღლის მაია ჩიჩუას ფინანსური მხარდაჭერით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი ლექსებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

დიდ მადლობას მოვახსენებ მათ თანადგომისთვის.

დიდ მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი რჩევებით, შრომით და შემოქმედებით მონაწილეობა მიიღო ამ წიგნის გამოცემის საქმეში.

მადლობა ჩემს მეუღლეს და ქალიშვილებს იმ დიდი სიყვარულისთვის და სითბოსთვის, რითაც მკვებავენ და მაძლევენ ძალას, რომ ვიმოქმედო...

ალეკო დოლბაია

პოეტი არქაული ღიმილით

მას ეს წიგნი დიდი ხნის წინ უნდა გამოეცა, თუმცა დაგვიანებულიც არ ეთქმის, რადგან განვლილი დროის შუალედში არის მაღალი გემოვნება და გამოცდილება. მან იცის ლექსი. გრძნობს პოეტურ სტიქიას. იმყოფება იმ სივრცეში, სადაც იმართება სიტყვის როია, მიმართულება, ხაზი, ანდე.

ალეკო დოლბაია – თხემით ტერფამდე პოეტი, შემოქმედი, ქმნადობის სულისკვეთებით აღსავსე მოყვასი. ერთი შეხედვით, არის მასში ჭარბად პატრიარქალური, მდგრადი, საცნაური და, არის, ამავე დროს, უაღრესად თანამედროვე, მოძრავი, მოუხელთებელი, გამოუცნობი.

მან იცის, რა უნდა, რას აკეთებს და რისთვის აკეთებს;

მან არ იცის, რამდენად მყარია მასში ეს ქმნადობის სული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ არის გაორებული, ამბივალენტური იდეების მსასოებელი, ცრურწმენებს ადევნებული იდეალისტი. მთლიანი პიროვნებაა, გაუბზარავი, ერთიანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ დესტრუქციისა და დაბნეულობის დროში. ისე არ ვამბობ, ჰაერზე, ლამაზი სიტყვებისთვის. კარგად ვიცნობ. დიდი ხანია.

80-იანი წლების დასაწყისში გავიცანი თერჯოლაში, საპოვნელას მთაზე, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, რომელსაც მაშინ „ბანაკს“ ეძახდნენ და ეს სიტყვა არავის აშინებდა, რადგან ჯერ არ იყო დაწყებული გარდაქმნის, ეგრეთ წოდებული „პერესტროიკის“ პოლიტიკური კამპანია,

რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სოციალისტური ბანაკის დაშლა-დაქუცმაცება.

ეს იყო დრო, როდესაც ამქვეყნად ჯერ კიდევ ცოცხლობდა უანგარო რომანტიკული სულისკვეთება და ადამიანებს შეეძლოთ ეფიქრათ განყენებულ იდეალებზე. საპოვნელა, თავისი მდებარეობით, მშვენიერი ბუნებით, ყვავილნარითა და ხშირი კორომებით, ხელს უწყობდა ფიქრითა და მეტაფიზიკური განსჯისთვის განწყობილი ადამიანების ერთობას.

მაშინ მიმდინარეობდა ფიზიკოსებისა და ლირიკოსების მსოფლიო დაპირისპირება და ამ ბრძოლის ექო ჩვენშიაც გაისმოდა.

„მცირე აკადემია“. ასე ერქვა იმ საგანმანათლებლო მესამე სემესტრს, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცხრე-მეათე კლასების საუკეთესო მოსწავლეები მთელი საქართველოდან – გაგრა-სოხუმიდან მოყოლებული თელავ-ლაგოდეხით დამთავრებული.

ის „ფიზიკოსებს“ უკითხავდა ლექციებს, მე – „ფილოლოგებს“.

ოფიციალურად მე ლირიკოსი ვიყავი, ის – ფიზიკოსი. კარგად რომ გავიცანი, მივხვდი, რომ ფიზიკოსიც ის იყო და ლირიკოსიც.

თავიდანვე ასეთი იყო ალეკო დოლბაია: სიკეთის კაცი. ლექსის კაცი. საქმის კაცი. დარდის კაცი. ტკივილის კაცი. სიყვარულის კაცი. მეგობრობის კაცი. თანალმობის კაცი... სავსე კაცი.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დღემდე მომყვება, იყო „არქაული ღიმილი“, ანტიკურ კუროსს რომ მოგვაგონებდა, რაც ალბათ არც იყო შორეული ასოციაცია,

რადგან ძველი ფაზისი, ევქსინის პონტოს ნაპირი, მდინარე ჰრეონის შესართავია მისი მამული, ოდაბადე...

ფიზიკაზე არასოდეს გვისაუბრია. ლიტერატურაზე – რამდენიც გინდა.

იმ დროსაც და შემდგომშიც, ყოველთვის, მაკვირვებდა მისი სწორი ლიტერატურული ალღო და, რაღა თქმა უნდა, პოეზიის სიყვარული, დაუფარავი, თავდავიწყებული გატაცება ლექსალური სტიქიით. როგორც იტყვიან, ლექსთან შენობით იყო, კარგად იცოდა, ესმოდა, გრძნობდა, შენამდე მოჰქონდა.

საკუთარი ლექსი არასოდეს წაუკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ წერდა და ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად წამიკითხავდა.

მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა.

თუმცა დროს რა ჭკუა აქვს. ვიცოდი, უნდა წამეკითხა და აი, ვკითხულობ ალეკო დოლბაიას ლექსთა კრებულს „ჰორიზონტს მიღმა“, რომლის ჰარმონიული მელოდიკა, ჟღერადი ინტონაციები, დახვეწილი, უხინჯო ტონალობები დამანახვებს ავტორის ისეთ შინაგან სიღრმეებს, რომლებსაც სხვა მხრიდან, სხვაგვარად, სხვა სამზერიდან ვერ დავინახავდი.

მისი სტრიქონი იოლად, გასაგებად, განმარტებულად გადმოსცემს პოეტურ აზრს და რამდენადაც ბუნებრივია ეს ყოველივე, იმდენად გასაგებია ის ეჭვიც, რომელიც ჩნდება პოეტის გულში – იქნებ ვერ თქვა ის, რის თქმაც სურდა, იქნებ ვერ მიიტანა მკითხველამდე გულისნადები. ეს ის სკეპტიციზმია, ის ეთიკური მომენტია, როდესაც პასუხისმგებლობა უფრო ხმამაღლა მეტყველებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ ფაქტორი.

არსებობს პოეტური სინდისი – გონება მამხილებელი, რომელიც ყველგან მოქმედებს, მაგრამ ყველგან არ ჩანს.

ალეკოს მზერა – ეს არის ლექსის მცოდნის თვითანალიზი, თვითგანსჯა, რომელიც ეხმარება მას იყოს უშუალო, გასაგები და საინტერესო.

ამიტომ ეს მარტო წიგნი არ არის. ეს არის ალეკო დოლბაიას ცხოვრების დვრიტა, მის მიერ განვლილი გზის სულიერი ნავიგაცია, მისი შინაგანი ბუნებისა და ხასიათის რიტმულ-ინტონაციური გამოხატულება.

ივანე ამირხანაშვილი

ლექსია ჩემი სულის კომფორტი

ავტორის პირველი წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობა
(„ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი“, თბილისი, 2018)

ალეკო დოლბაიას ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის დროიდან ვიცნობ. ის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე – ფილოლოგიურზე. ჩვენ პოეზიამ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ დაგვაახლოვა.

ალეკო ხშირად ესწრებოდა ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს, რომელიც ყოველ სამშაბათ საღამოს იმართებოდა პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში და სადაც ახალბედა მწერალთა ნაწერების განხილვები ეწყობოდა ხოლმე. ის ზოგჯერ ჩვენი სტუდენტური სუფრების თანამეინახეც იყო და თავისი ხალისიანი განწყობით ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ალეკოს პიროვნული და მამულიშვილური ბუნება განსაკუთრებით საცნაური ჩემთვის ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას გახდა, როდესაც ამ მოძრაობის პატრიარქებმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ამ ბრძოლაში ჩვენი დედა-უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობაც ჩართეს. ის არც-ერთ საპროტესტო აქციას არ აკლდებოდა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ უერთგულეს ჯარისკაცად იყო ქცეული.

1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალურმა გადატრიალებამ („პუტჩი“) ერთგვარი ლაკმუსის როლი

ითამაშა, საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: ერთნი მხარს უჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას და, შესაბამისად, ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ განდევნილი კანონიერი პრეზიდენტისა და მთავრობისა, ხოლო მეორენი ამართლებდნენ რა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მხარდაჭერილსა და ორგანიზებულ გადატრიალებას, გვერდით ედგნენ ამბოხებულებს. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირის-პირება და ამ დაპირისპირებაში ჩაბმული იყო მთელი საზოგადოება და, რა თქმა უნდა, სტუდენტობაც. ამ ბრძოლამ სულ სხვა თვალით შემახედა ბევრ რამესა და ბევრ ვინმეს, მათ შორის, ჩემს უნივერსიტეტელ მეგობრებსა და პროფესურასაც. ამ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობისა და კანონიერი პრეზიდენტის დამცველთა მხარეს ვიხილე ალეკო დოლბაიაც და, ამის გამო, მისი პიროვნების მიმართ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. და მე აქ დავინახე ალეკოს კიდევ სხვა, დიდი ადამიანური თვისებები – უშიშრობა, ობიექტურობა და პრინციპულობა.

იმჟამად ალეკოს უკვე დამთავრებული ქონდა უნივერსიტეტი და ფიზიკის ფაკულტეტის ერთ-ერთ კათედრაზე მუშაობდა, თუმცა ეს ხელს სულაც არ უშლიდა, რომ ჩაბმული ყოფილიყო საუნივერსიტეტო წინააღმდეგობის მოძრაობაში, ხოლო მისი კაბინეტი ჩვენი, ამ მოძრაობის აქტივისტთა, თავშეყრის ადგილად ექცია.

ალეკო დოლბაიას დიდ ადამიანურ ბუნებას კიდევ ერთმა გარემოებამაც კარგად გაუსვა ხაზი: პუტჩისშემდგომ პერიოდში, როდესაც ყველას ერთნაირად უჭირდა ქვეყანაში, მან მართლაც სამაგალითო და უშურველი

ძმობა-მეგობრობა გაუწია ჩვენს საერთო, აწგარდაცვლილ მეგობარს, უნიჭიერეს პოეტ თემურ ფირცხალაიშვილს. ალეკო იმუამად ფოთში მუშაობდა და ყველანაირად გვერდში ედგა ლანჩხუთში მასწავლებლად გამწესებულ პოეტს. ეს სიკეთე კი საბოლოოდ იმით დააგვირგვინა მან, რომ თემურს ჯერ სამი პატარა კრებული გამოუცა უსასყიდლოდ, ხოლო შემდგომ მათ რეალიზაციაშიც სათანადო დახმარება აღმოუჩინა.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ჩვენი ახლობლობა მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა და აგერ, უკვე 30 წელიწადზე მეტს ითვლის.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს შემთხვევით თითქმის არავინ ესწრებოდა. ყოველ მის აქტიურ მსმენელში პოტენციური ლიტერატორი ან მწერალი თვლემდა. ყოველთვის იგივეს ვფიქრობდი ალეკოზეც, თუმცა ის სერიოზულად არასოდეს აფიქსირებდა საკუთარ პოეტურ შესაძლებლობებს. მართალია, პატარ-პატარა ფუნაგორიებს და თითო-ოროლა ლექსს კი წაგვაკითხებდა ხოლმე ხანდისხან, ერთი-ორჯერ ჩვენი წრის სალიტერატურო ალმანახ „პირველ სხივშიც“ გამოქვეყნდა მისი ლექსები, მაგრამ მაშინ ამის იქით საქმე არ წასულა.

უნივერსიტეტის დამთავრებიდან საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ, ალეკო დოლბაიას ფეისბუქ-გვერდზე პერიოდულად ვხვდებოდი მის ლექსებს, ზოგიერთ მათგანს ძველი თარიღი ეჯდა ქვეშ და აშკარად სტუდენტობისდროინდელი პერიოდისა იყო, მაგრამ გამოჩნდა ახალი, თანამედროვე ეპოქაში შექმნილი ლექსებიც, რამაც ჩემი დიდი დაინტერესება გამოიწვია, რადგან მათში ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დიდი

მოწიწების მქონე, საკმაოდ დახვეწილი პოეტური გემოვნებისა და ხელწერის შემოქმედი მოჩანდა. ამ ლექსებს გამოარჩევდა იდეურ-თემატური აქტუალობა, ღრმა ლირიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა გამოხატვის ვერსიფიკაციულ ფორმებთან.

ალეკო დოლბაია აკადემიური, ტრადიციული სალექსო ფორმის ე. წ. კონვენციური ლექსის მიმდევარი პოეტია. მისი ლექსებიდან კარგად ჩანს, რომ პოეტს სიტყვასთან, ფრაზასთან, ბგერასთან ურთიერთობა ბავშვობიდანვე მოსდევს, უყვარს, სიამოვნებას ანიჭებს და ჩვენს თვალუწვდენელ ქართულ სალიტერატურო ყანაში პატიოსნად და ბეჯითად შრომობს. მართალია, ის არცთუ იმდენად ბევრს წერს, მაგრამ წერს მხოლოდ მაშინ, როდესაც სათქმელი სრულად დაუთავთავდება და მკითხველსაც მთლიანად დაპურებულ ნაყოფს აწვდის. მისი სათქმელიც ერთობ ფრთხილი, მოზომილი და ლოკალურია. ის, მისთვის უმნიშვნელოვანეს, სულ რამდენიმე თემატურ რკალს ჩაღრმავებია და არასოდეს ცდილობს, რომ ყველაფერს მიედ-მოედოს ვინმეზე მყისიერი ეფექტის მოსახდენად.

ალეკოსთვის, როგორც პოეტისთვის, ეს უმნიშვნელო-ვანესი რკალებია: საქართველო, სამშობლოსთვის თავდადებული გმირები, მეგობრობა, ოჯახი, ბუნება და სალაღობოები.

საქართველოში დღეს ლექსს ბევრი წერს და წიგნებიც უამრავი იბეჭდება. ამ სამწერლო-საგამომცემლო ქაოსსა და განუკითხაობაში, სამწუხაროდ, ერთგვარად თითქოს გაუფასურდა კიდეც პოეტური სიტყვა და პოეტის სახელი. არ ვიცი, აპირებდა, თუ არა ალეკო ოდესმე საკუთარი

ლექსების წიგნად გამოცემას, მაგრამ მე მას რამდენჯერმე სრულიად გულწრფელად ვურჩიე, რომ ამაზე აუცილებლად ეფიქრა და აი, ერთ მშვენიერ დღესაც მან გადაწყვიტა, რომ თავისი პირველი პოეტური კრებული გამოეცა და მისი რედაქტორობა მთხოვა. ამაზე მე მას სიამოვნებით დავთანხმდი და ახლა ამ სტრიქონებსაც წინასიტყვაობისთვის ასევე დიდი სიამოვნებით ვწერ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველს მშვენიერ საჩუქარს ვთავაზობთ.

წინასიტყვაობაში, ცხადია, ყველაფერს ვერ დავწერ, რასაც ალეკო დოლბაიას ლამაზი პოეტური სამყარო მეუბნება და რასაც მე მის შესახებ ვფიქრობ. დანარჩენი დასკვნები თავად ობიექტურმა და გემოვნებიანმა მკითხველმა უნდა გამოიტანოს. ეს წიგნი ხომ სწორედ პოეტური გურმანებისთვისაა შექმნილი.

დაე, ფეხბედნიერად და სულ წარმატებულად ევლოთ ავტორსაც და მის წიგნსაც!

მიხეილ ღანიშაშვილი

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი

,,ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი“ – მიუმართავს მამას, ლექსების ამ კრებულის ავტორს, დედაჩემისთვის ხათუნა ამაღლობელისთვის 1993 წელს, ჯერ კიდევ მასთან შეუღლებამდე...

ის პოეზიის დიდი მოტრფიალეა და ყოველთვის აღტაცებითა და სინაზით კითხულობს ქართველი მგოსნებისა და პოეტი მეგობრების შემოქმედებას.

თავად მისი პოეზია გამოირჩევა განსაკუთრებული მელოდიურობით, საამო ჟღერადობითა და სიტყვების ფაქიზი შეხამებით, რომლებიც წარმოთქმისას ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ბგერები ერთმანეთს ელამუნებიანო.

ხშირად შეგვიმჩნევია, როგორც კი მუზა ეწვევა, განმარტოვდება ხოლმე და სანამ თავის შთაგონებას სრულყოფილი, დახვეწილი სახით არ გადმოიტანს ფურ-ცელზე, ფიქრებიდან ვერ ერკვევა. თუმცა, როგორც კი წერას დაასრულებს, მაშინვე გვერდით მოგვისვამს და რამდენიმეჯერ გვიკითხავს. აინტერესებს, როგორ მოგვეწონა. ყურადღებას ამახვილებს, თუ რა დეტალები დაურთო და როგორი სიტყვებით დაამშვენა სათქმელი.

ალეკოს პოეზია მოიცავს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია.

კრებულში შეხვდებით როგორც სალაღობო, რაც მსმენელის განწყობას უმალ აამაღლებს, ასევე სევდიან და ტკივილიან ნოტზე დაწერილ მშობლებისადმი, წინაპ-

რებისადმი და სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებს. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მშობლიურ ქალაქ ფოთზე დაწერილ ლექსებს, რომლის მიმართ ავტორი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს და ყველაზე ძვირფას მოგონებებს უკავშირებს.

ალეკო არ ივიწყებს არც საყვარელ მეუღლესა და შვილებს, მეგობრებს, საქართველოს ისტორიულ გმირებსა და სახელოვან წინაპრებს.

როგორც თვითონ ამბობს, კიდევ მრავალი ლექსი დაუწერია ექსპრომტად, რომელთაგან ზოგი სიყმაწვილეში დაუკარგავს და დავიწყებია. თუმცა, რაც შემორჩა, ძვირფასია როგორც მისთვის, ასევე მისი ახლობლებისთვის.

მიმდინარე წლის 12 მარტს მამას 59 წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით, უახლოესმა მეგობრებმა და ჩემი უფროსი დის თათულის ნათლიებმა ზურაბ ალანიამ და მისმა მეუღლემ მაია ჩიჩუამ საჩუქრად მიუძღვნეს ლექსების ეს კრებული, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ვიმედოვნებთ, რომ ალეკო დოლბაიას შემოქმედების გაცნობისას, მკითხველი დაინახავს, თუ როგორი გულწრ-ფელია ის ოჯახის, მეგობრების, სამშობლოსა და პოეზიის წინაშე.

გვანცა დოლბაია

მაწუხებს სიტყვა გამოუთქმელი,
ამოუთქმელი ლექსი მაწუხებს

ამოუთქმელი ლექსი მაწუხებს...

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო...“
მიხა ხელაშვილი

თითქოს ცუდად ვარ, – რა მაქვს საცუდო,
როცა განგება ხიფათს მაცილებს?!
თავის წილ სევდას ჩვენი საწუთრო
ადამიანებს გაგვინაწილებს...

მონანიება, ლოცვა გულწრფელი
შემიმსუბუქებს გულზე მარწუხებს.
მაწუხებს სიტყვა გამოუთქმელი,
ამოუთქმელი ლექსი მაწუხებს...

7.05.2019, თბილისი

არ მინდა

არც ერთი ჩემი ლექსი არ მინდა,
თუ არ ჩაწვდება მოყვასს გულამდე,
ამიტომ, მუდამ ლექსს ვწერ თავიდან,
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.
არ მინდა ერთი სიტყვაც, გულსგარეთ,
არც ერთი ფრაზა ყალბი არ მინდა,
ასეთ სტრიქონებს ვახვევ სუდარებს,
ქარიშხალს ვანდობ, შორს მათ გამრიყავს.
არ მინდა აზრი, არაფრისმთქმელი,
რითმების წყობა უნდო არ მინდა,
უმიზნო არის უგნური მწვრთნელი,
ამოვარდნილი ასო თარგიდან.
არ მინდა ყოფა ფუჭი და ვრცელი,
დღე იწყებოდეს მუდამ ფარსიდან,
ბოლომდე ვერ ვთქვა ჩემი სათქმელი,
ოდნავ მბჟუტავი შუქი არ მინდა.
არ მინდა მერქვას კაცი ორპირი,
უმისამართო სიტყვა არ მინდა,
არც იქით ვიყო, აქეთ ნაპირებს
ჩავებღაუჭო, ყრუდ და ყასიდად...
არც ერთი ჩემი ლექსი არ მინდა,
თუ არ ჩაწვდება მოყვასს გულამდე,
ამიტომ, მუდამ ლექსს ვწერ თავიდან,
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.

15.02.2021, თბილისი

ლექსი

სილამაზის აღქმით იშვა,
სტროფში ტალღა ტალღას მისდევს,
ნელი-ნელად წარმოიქმნა,
სულში ჩაკირულად ვზიდე.

მთა-მთა გადავივლი ტრავერსს,
ჩავიმუხლო, არსად მინდა,
მაინც, მაინც დავწერ ამ ლექსს,
თავი-წყაროსავით წმინდას.

როგორც დამთხვეული ხარი,
ბალახს გამეტებით ბრდღვნიდა,
სუნი მიმიზიდავს კალმის,
ვერრა მომაშორებს ძნიდან.

მთა-მთა გადავივლი ტრავერსს,
გზა-გზა სილამაზე მმართავს,
მაინც, მაინც დავწერ ამ ლექსს,
თავი-წყაროსავით მართალს...

24.10.2019, თბილისი

* * *

დამტანჯავს მუდამ რითმების კვეთა, –
გონებისა და გულის სარქველი...
თქმა მინდა, მაგრამ ამ ჩემმა ლექსმა,
მაინც ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი.

ჩამოეკიდა მთას ნაკადული,
დაფარეს მთები სქელმა ნისლებმა,
დაიწყო წვიმა, მზით დადაღული
ცისარტყელებად რომ აინთება.

მესმის შრიალი და განცდა ხეთა,
ვხედავ, რარიგად ხატავს ბუნება,
ხევში ნაპირებს თუ მიეხეთქა,
ამოუთქმელი ლექსის ცდუნება.

მაწუხებს, როგორ ებრძვიან სიტყვებს, –
არ იწერება ბგერით სიტყვები,
ქარიშხალივით ტკივილი მიტევს,
ჩემს გულისცემას როცა მივყვები...

დამტანჯავს მუდამ რითმების კვეთა, –
გონებისა და გულის სარქველი...
თქმა მინდა, მაგრამ ამ ჩემმა ლექსმა,
მაინც ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი...

16.07.2019, თბილისი

ლექსის შემდეგ

ეს მაწუხებდა, ეს მჩაგრავდა,
ეს გულს მიღრნიდა,
დიდი ვულკანი იღვიძებდა
ჩემში შიგნიდან.
როცა ფიქრებმა ხორცი ისხა,
სიტყვა ინება
და გონებიდან მოხდა მისი
გადმოდინება, –
ამოვისუნთქე, დავიბადე,
თითქოს თავიდან,
დილა განათდა, ცა გალურჯდა,
და ზღვა დამშვიდდა,
მომესმა შვილთა საუბარი,
ცოლის რჩევები,
კვლავ აღვიდგინე ეს სამყარო,
განურჩეველი...
რას დავაბრალო ხასიათის
ასე ცვალება? –
აღარ მაშინებს ლექსის შემდეგ
გარდაცვალება...

5.06.2019, თბილისი

თარიღი

დაღამდა. ცამ ხარკი გაიღო,
სად წახვალ, შენ ჩემო იარავ?
ეს ღამეც გამირბის, თარიღო,
მე ვრჩები, გასული კი არ ვარ.

სიყვითლე ედება ძველ ფურცელს,
ძველ ფოტოს ვეხები ხანდახან,
ჭკუას რომ კითხავენ უხუცესს,
შენ გკითხავ, სიმართლის ქანდა ხარ.

ახალი დღე-ღამე დაიწყო,
ილევა დროში და გადავა.
შენ ნულარ ჩერდები, თარიღო,
მე ჩემს გზას გავივლი, თანდათან...

11.02.2021, თბილისი

რეკავენ ზარები

რეკავენ ზარები ცნობადის გადაღმა,
განწყობა თანდათან ეხვევა ამ ხმაში,
სიწმინდის შეგრძნების სამანს რომ გადახვალ,
ზეციდან იწყება ბგერების თამაში.

თაღებქვეშ უყურებ მიმინოს ფრთებივით
დაშვებულ სინათლეს, მინებით დასერილს,
მაცხოვარს უმღერის ხმების ძნა შეშლილი,
კანკელის კალთებთან, სანთლებში განთესილს...

ანათებს აწყმო და წარსული მომავლით,
იმედის ნათელი შუქს მატებს განთიადს,
სანამდე გაუგებ, იესო შორს არის,
იესო გუმბათზე მზესავით ანთია...

2.02.2021, თბილისი

ალექსანდრ კვარც

დროდადრო სხვადასხვა სრულდება ეტაპი,
იმედით შეყურებ ბარდსა თუ ლელიანს.
უფულოდ რთულია საქმეთა „სეტ აპი“,
გინდ იყავ ალექსანდრ კვარცივით გენია.

გახედავ განვლილი წლების სრულ კიდეებს,
ფიქრებში შენდება ახალი მასივი.
უფულოდ ფრთებს ვეღარ შეასხამ იდეებს,
გინდ იყავ გენია ალექსანდრ კვარცივით.

თან დაგდევს მუსიკა მისტიურ ქორალის,
როდესაც სივრცეთა იღება კარიბჭე.
ოპტიმიზმს ნებდება განწყობა მომავლის,
ალექსანდრ კვარცივით კაცი რომ განიჭებს...

27.01.2021, თბილისი

ქაირო

თემურ ფირცხალაიშვილის ხსოვნას

საჰარის სივრცეში აღმართულ სატევარს
აბლაგვებს უდაბნოს ხრიოკი ტალღები,
პანტერა ცეცხლოვან ნესტოებს დაბერავს,
ქვიშაზე დაცურავს ვარდისფერ აფრებით.

უდაბნოს დასერავს ნილოსის ჰაერი,
მოგზაურ აქლემთა ფლოქვებთან განრთხმული,
ქვის ლომის სტატუას ეხება გამვლელი,
კურნების იმედით და რწმენით მართული.

ხურვება ეწყებათ შუადღით ჩალმათა,
ქვიშათა შხეფები ეყრება სარკინოზს,
წყურვილის ნდომისგან ხახაში გამლაშდა,
ჩრდილებში დერვიში ეწევა პაპიროსს.

საღამოს სიმშვიდით თვალები გაოცდა,
სული და სხეული მკვეთრად რომ გაიყო,
ხეოფსის ქიმიდან ცის ფონზე გამოჩნდა
სინათლის ნაკადის მფრქვეველი ქაირო...

12.01.2021, თბილისი

შობა

დღე არის დღეგრძელი,
ვარსკვლავი – მეტყველი,
მიწაა მთესველი,
სამყარო სრულია.
ტაძარი – ტანმრთელი,
კანკელთან – კანდელი,
კედელში სარკმელი
მაცხოვრის შუქია.
მართალი სათქმელი
ბოროტ ხმას განდევნის,
გზას, გზიდან აცდენილს,
სწორი გზა წყურია.
ცხოვრების თანმდევი
ჭირია რამდენი,
სიკეთის ჩამდენი
გენდობა სრულიად.
ღერძებზე განფენილ,
სურვილებახდენილ,
სივრცეში ჩარტერით
დაფრინავს თოლია.
ზღვის ტანზე ლივლივებს
საღამოს ხილვები
და აშოლტილები
ჭადრებიც შორია.
იწყება დღის ბოლო, –
სიჩუმის სიმბოლო,
შეარხევს სიმს მხოლოდ
თავნება ბორია.
ფოთოლთა ფრენისას,
ტალღების რხევისას,

ფიქრებთან რჩენისას
ვიწყებდი ბორიალს.
ზეციდან ნიშანი, –
განცვიფრდა მისანი,
ნათელი ღვთის არის,
რაც მოჩანს შორიდან.
ღვთისმშობლის წიაღით
გადმოსვლა ნიაღვრის,
საწყისი სიახლის –
იესო მოვიდა...

4.01.2021, თბილისი

ედვარ́დ მანე

შერჩენილი განაპირად
მარტსაც ახლავს ზამთრის სხივი,
აგერ, ია აყვავილდა,
ყაყაჩოსი ფერი კივის.

გავა დრო და ცვდება ფერი,
სასრულეთში დაივანებს,
ჩამომდგარი დეკემბერი
მათ ნარჩენებს ატანს ქარებს.

მხატვარი კი ეძებს ფერში
სამუდამო დროს და წამებს,
რას უშველის ზამთრის თვეში
ამ ყვავილებს ედვარდ მანე?..

9.03.2021, თბილისი

დეკემბრის მიწურულს

დეკემბერია უთოვლო, მშვიდი...
რა შეაჩერებს დღეთა მარულას?!
როგორც ბალახზე ნადები თრთვილი,
ჭაღარა ისე შემოპარულა.

გახევებული სხივი პარმაღთან
შეაფერადებს ამინდს უქაროს,
ზამთარი ტოვებს კართან არმაღანს,
ძველ წელს დარდები რომ გაუქარვოს.

სანამ მზე ცაზე ვარსკვლავებს თვლიდა,
სამას სამოცდახუთჯერ დაბინდდა,
ციფერბლატზე კი – ისარმა დიდმა
წელი ახალი გაითავისა...

31.12.2020, თბილისი

ზამთრის სურათები

წეკოს ჩიბუხივით ბოლავს საკვამური,
ბუხრის სიმშვიდეა სახლში, ნეტარება,
ძაღლი, რაღაც ავი რომ აქვს განზრახული,
მედესანტესავით კატას ეპარება.

ღამეს ნისლიანი მოსავს საღამური,
აღარც ფოთლებია ქარში მოშრიალე,
ხის ტოტს შეფარვია ჩიტი, სადაური,
ბაღში ტანმორჩილი სიო კოტრიალებს.

ზამთრის სურათებმა ძველი მოგონების
მუქი ტონალობა ტილოს შეაყარა,
მოკლეკაბიანმა გოგომ მონდომებით,
ერთი ფრაზის გამო, ლექსი შეიყვარა...

5.12.2020, თბილისი

გათენება

ცა გაღიავდა, ლექსს დაწერს ღამე
გარდატეხილი სხივების დაშნით,
ცისკრის ვარსკვლავზე ვისმენდი ზღაპრებს,
აღქმით ვეძებდი მთვარესთან კავშირს.

მელოდებოდა სანთლებთან დედა,
დაუშრობელი ცრემლების განცდით,
წლების მანძილზე ყოველდღე ვხედავ,
შეჩერებას რომ არავინ მაცლის.

დასკდება ღამის ნიღაბი სქელი,
ჩარჩოდან ჟონავს თეთრი მიქსტურა,
მზე ამოვიდა, დღეს პირვანდელი
სინათლის მოსავს ლიტერატურა...

14.11.2020, თბილისი

ექსპრომტი

(ზამთრის სურათებიდან)

წვიმაა, თოვლია,
მზეა თუ ავდარი,
ქარს თურმე ჰქონია
წაკრული თავშალი.

ქარია, ქარბუქმა
ფოთლები არია,
საქმეში ფაფუკი
ფანტელიც ჩარია.

ფანტელი ირიბი
ეყრება სახურავს,
ნაძვის ხეს ღიმილი
მთელ ტანზე აპკურა.

ნაავდრალ ტოტებზე
მზე წაშლის ნაკვალევს,
ფერადი შუშების
ატარებს სათვალეს...

თოვლია, წვიმაა,
მზეც არის, ქარია, –
მწე კარგი განწყობის
და საწინდარია...

12.12.2020, თბილისი

ჰორიზონტს მიღმა

(სონეტი)

გადაეფარა სხეულს გრძნობა – თეთრი ზეწარი,
თვალები – შუქის ანარეკლი, დაგმეს ფარდებმა,
ეთერიულ ნისლს გამოაკლდა მძიმე ცხედარი
და დედამიწის სიღრმისაკენ მიემართება.

ჩნდება სულეთში ჩასახული ხედვა მომავლის,
ფერი ედება მოკაშკაშე კაბადონს ცისას,
ენაცვლებიან მეზღვაურნი ნიჩაბს ხომალდის,
უკიდეგანო სივრცისაკენ მგზავრი რომ მიჰყავს.

განახლებული დაიწყება დრო და თარიღი,
ჰორიზონტს მიღმა გადაიფრენს სხივით გონება,
შეუდგებიან ატლანტივით კედლებს თაღები,

ასტრალურ სვეტებს ანგელოზი ფრთებით დაიცავს...
მალე იხილავს მოგზაური, მზით ნატარები,
უდიდეს ძალას მაცხოვრისას და ნეტარების...

10.12.2020, თბილისი

პრელუდია

ქარია გარეთ, დრო მოდის ქართა,
ვგრძნობ, როგორ გაცვდა სახე და კანი.
გადარეული ხეების განცდა
გულზე დამდგარი სიტყვები არის.

ქარია, ისმის თანჯრებში სტვენა,
ეუფლებიან ტოტები სივრცეს.
ჩამობერტყილი ფოთოლთა ცვენა,
ბავშვების დარად, ეზოებს იკლებს.

შემოდგომაა, არ ცხრება ქარი,
წვიმა და ქარი ერთურთს უხდება.
იქნება ქარი, ისეთი მძლავრი,
როგორც რწმენა და თავისუფლება...

7.11.2020, თბილისი

ჟანნა ებიუტერნ

„შენს თვალებს მაშინ დავხატავ, როდესაც შენს სულს შევიცნობ...“ – ამედეო მოდილიანი

ერთ ხაზში აღქმული
მრავალი სამყარო
პალიტრით შეიკრა, ჩერდება.
მოდუნდა მხატვარი,
გადასცდა ჩარჩოებს,
გონებით სივრცეებს ნებდება.
თვალები – დევნილი
კომპოზიციიდან,
ცისფერ სიშორეზე საუბრობს.
თმების ნიაღვრების
მხრებით შეკავება, –
სუსტებმა, ეგებ, ვერც გაუძლონ...
კისერი გედისა,
წვრილი და რხეული,
ტოტივით სხეულზე ფარფატებს.
შვერილი თითების
ხიბლია მთავარი,
ჩანჩქერად ჩამოსდის ქარაფვებს...
მასშია დინება
ღვთიური ძალების, –
პალიტრის ტილოზე კვეთება...
მოდუნდა მხატვარი,
გადასცდა ჩარჩოებს,
ამოდის დილის მზე, თენდება...

30.09.2020, თბილისი

მთიბელები

აირეკლავს ამწვანებულ კალთას
მთის ფერდობზე დაცემული სხივი,
აბრეშუმის თავთუხი და ბალბა
შერჩენია ბულულს თივის ზვინის.

გონებაში გარდატეხილ განცდას
ეხამება ნამეხარი მუხა,
შეფარვიან მთიბელები ფაცხას,
გაავებულ შუადღის მზით მწუხარს.

სინქრონულად ეწევიან ჭაპანს,
მოგონებებს აღვიძებენ მთელ რიგს,
მინდვრის გულზე წამოწოლილ ბალახს
დაედება ყვავილების მტვერი.

სურნელება ემატება სივრცეს,
არომატულს გამოაფენს აფრას,
კალენდარზე ჩამწკრივებულ ციფრებს,
ყურადღებით აკვირდება მამა.

არ ჩერდება წლების სწრაფი ბრუნვა,
მომავალი ივლისია კარზე,
დაიწყება კვლავ თივისთვის ზრუნვა,
სხვა თაობა გაუყვება ამ გზებს...

ასათუთებს უსასტიკეს ჟამთ სვლას
მშობლის კვალზე მიმავალი შვილი...
თიბათვეში თავთუხი და ბალბა
მოუსმენენ ცელის რიტმულ წივილს...

14.09.2020, თბილისი

ბურანი

დიადი ბუნება გაცხადდა, –
რა შეცვლის უფლისგან ნაფერებს?!
ცაზე მზე თოლიებს ქარგავდა,
ზედაპირს ანდობდა სხვა ფერებს.
თვალები ირეკლავს ამ სხივებს,
იპოვის ხიბლიან დასასრულს,
ზვირთების ამბოხი მაშინებს,
უსახო ნათება არა მსურს.
ლანდებთან გრძელდება სერობა,
უთბილეს გრძნობების განმდობი,
ასხურებს ყვავილთა ღეროდან
მისტიურ სურნელებს ფანტომი.
ზეციდან დაშვებულ კონუსებს
ჩხორია ტანსაცმლით შემოსავს,
იღვრება, ჩანჩქერად მოსული,
ბადაგის ნაკადი ზემოდან.
დამთავრდა... აქ ძალა არ მყოფნის,
არ მინდა ქვეითებს ვერკინო,
მე ჩემთვის დავდივარ, სამყოფი,
ტკივილი ხომ უნდა მეტკინოს...
შევხარი ამ დიად ბუნებას,
ხილვათა სივრცეში განფენილს,
უთუოდ, იქნება კურნება
სულებში ანთებულ სანთლებით...

7.09.2020, თბილისი

ბლონდის გზები

მივდიოდი ბლონდის გზებით,
ბილიკები უვალია,
მთა მთას მისდევს მოწიწებით,
რაიც გარდაუვალია.
მშვენიერს და უფრო ლამაზს
ეფინება შუქი მეტი,
ნაცნობ ქალებს ვეტყვი სალამს,
მზესაც გავუნაწილებდი.
მიყვარს, როცა შევეხები
ხავერდოვან ჭადრის ფოთლებს,
მინდვრის პირას მთვლემარ ვერხვებს
ქარის ფრთებმა შარი მოსდეს,
დაალეწეს თავზე ტოტი,
ძირს ეცემა ფენა-ფენად,
ასეთ სურათს არ ველოდი,
რამაც გული დამისერა,
მომიწოდა ლექსის თქმისკენ,
სიტყვა რითმად გამითალა,
გამატარა ბეწვის ხიდზე,
კითხვის ღირსად არც ჩამთვალა,
მომაშველა ფრთები ისევ,
ფიქრნი ამიყარა ქარად,
გული სიმის რხევით მიცემს,
დამზაფრა და გადამღალა....
გამიტაცეს ბლონდის გზებმა,
ბილიკები უვალია,
ამ ფიალას მაინც შევსვამ,
რადგან გარდაუვალია...

30.07.2020, ბათუმი

შეღამების ფრაგმენტი

უცნობი ქალი აივნის ფარზე
ყვავილს აპკურებს წყალს,
ჰორიზონტს მიღმა გამოჩნდა მთვარე
და არ მაშორებს თვალს...

ქვედა სართულზე ნაგაზი მალავს
შავ და ბოღმიან თავს,
ხელი გამექცა, ავიღებ კალამს,
ვხატავ მშვენიერ ქალს.

სახლის ეზოში ბავშვები ხტიან,
გარეთ სიცოცხლე ჩქეფს,
მოკლე ისარი გადასცდა რვიანს,
მზე ეფარება მთებს...

ის ქალი ისევ ყვავილებს ნამავს
და ჰორიზონტთან დგას,
იმ ქალის იქით, იმ ქალის გაღმა
აღარაფერი ჩანს...

15.06.2020, თბილისი

გერშვინი

აღარ მეშინია,
როცა გერშვინია,
როცა ჰანგებია დაწნული.
ხევში დუღილია,
მთებში ქუხილია,
მდინარეებშია ჩასული.

ასიმეტრიული
ქარის ზმუილია,
თითქოს კივილია ფოთლების.
ზღვაზე ზრიალია,
ჭადართ შრიალია, –
კომპოზიციაა ლოდების...

ბრუნავს ციფერბლატზე
მოკლე მონაკვეთი,
თავად ულმობელი, დროული...
ვიცი, გამოჩნდება,
რაღაც აღმოჩნდება,
რაიც ყოველივეს მოუვლის...

ვხედავ, იზნიქება
მზეთა შორის სხივი,
მოაქვს თბილი სიო წარსულის...
აღარ მეშინია,
რადგან გერშვინია,
რადგან ჰანგებია დაწნული...

2.04.2020. თბილისი

მეორე ვალსი

(განწყობა)

შეპყრობილი ვარ განცდით სწორფერის,
ღია სივრცეებს დაიპყრობს ბალბა,
მინდორსაც, როგორც სცენას ოპერის,
ჩამოაწვება ნისლების ფარდა...
შეასრულებენ შოსტაკოვიჩის
მეორე ვალსს და გრძნობით ვინთები,
გაზაფხულისას აღმოჩენილი,
იარუსების გამოღვიძებით...
ვიოლინოთა მესმოდა თრთოლვა,
ამოდიოდნენ ზემოთ ჰანგები,
ვეჭვობდი: იყო სუნთქვა თუ ქროლვა
ვიოლონჩელოს გულის ნადები.
მჯეროდა, როგორ მჯეროდა შენი,
ვიყავით ერთად, თან ვიყავ მარტო,
შეპყრობილი ვარ ხედვით სწორფერის,
რომელიც შენი გულისთვის დარდობს.
აერთიანებს მეორე ვალსი
ამ სცენასა და მინდორში ბალბას,
ისევ განათდა, აღსდგა ბალანსი,
მძლავრად დაეშვა ნისლების ფარდა...

17.03.2020, თბილისი

ზამთრის ღამე

თოვს უფრო სუსტად, ვიდრე ქარია,
მეტია შუქი, სავსე მთვარეა,
ფიფქები ჩნდება ქარში ანაზდად,
მთვარესთან რკალი ოდნავ განაზდა,
ღრუბლების ფერი ფიროსმანია, –
ორთაჭალაა და ამქარია,
შევიგრძნობ მძაფრად ნისლად მოდენილს,
ფერებს მანეს და ფიქრებს როდენის,
ღამის სურათი ხომ ჰგავს რენუარს,
თითქოს ღრუბელი წერდეს მემუარს,
შემოიჭრება ანრი ლოტრეკი,
უმზერს მროკავ ქალს, წელში მოდრეკილს,
არ ჩანს სივრცეში მოდილიანი, –
რამდენიც უნდა ჟანამ იძახოს,
დამძიმებული და თოვლიანი
ტოტები ტყდება პაბლო პიკასოს,
სეზანის ხიდან ჩამოზნექილი,
ვხედავ, მთვარეა გამოკვეთილი,
გუდიაშვილო, ნეტავ, სადა ხარ?
ამ ღამეს კიდევ ვინმე დახატავს?
გახსოვს, ბიჭები, ქიმერიონი, –
ტიტე, პაოლო, გალაკტიონი?...
კოსმიურია ღამე, მთვარეა,
არ მიყვარს ქარში ფიქრი, მდარეა,
თოვს უფრო სუსტად, ვიდრე ქარია, –
ეს ყველაფერი საოცარია...

25.01.2020, თბილისი

წყაროს ხმა მესმის

წყაროს ხმა მესმის, წყარო ჩუხჩუხებს,
ხევში თავისთვის ჩაირაკრაკა,
გასწვრივ ბილიკთა მწვანე მუხლუხებს
გაზაფხული და სივრცე ახარა.

წყაროს ხმა მესმის, რაღა მაწუხებს,
ჩიტმა ფოთლებში თავი ჩახარა
და ნაძვის ხეთა ფერად მარწუხებს
დააგემოვნებს პატარ-პატარად.

სიყვარულია და მზეა მეტი,
მეტია სითბო, შური – აღარა,
ვზივარ მდელოზე, ჩურჩული მესმის:
შეეპარაო ლექსებს ჭაღარა...

21.01.2020, თბილისი

ნიკო ფიროსმანი

ოსტატურად შეუქია ფიროსმანს
ორთაჭალის ბაღები და ხარფუხი,
გასწვრივ მტკვარი მოხდენილად მიცოცავს, –
მომაგონდა დრო მეხივით ნაქუხი.

შემოდგომის შეფერილმა ფოთლებმა
ეშხის ტოტზე ხმიადები მიშალა,
მესალმება, ტუჩმოტეხილ დოქებთან,
ბატკნით ხელში მუხლმოყრილი ნიკალა...

მეუბნება: აქ ბევრია ჩავლილი, –
დილის მადლს და გათენებას მილოცავს.
მოწიწებით თავს ვუხრი და ბავშვივით
მიხარია, მეც რომ ვიცნობ ფიროსმანს...

17.12.2019, თბილისი

ზამთრის პეიზაჟი

(გროტესკი)

თოვს, იისფერი ხეივანია,
ქსოვს ხავერდოვანს ფიფქი ფანტელებს,
ხომ მშვენიერი პეიზაჟია:
კომლს საკვამური ახვევს თაველებს.

ეს დღეებია, ქარიც მიწყნარდა,
ხე უფოთლობას ზამთარს აბრალებს,
წევს თოვლსა ზედა, როგორც ინფანტა,
მზე და გარშემო სივრცეს ამრგვალებს.

მთას შეეპარა ვერცხლი სიბერის,
ჩანს მკვეთრი კვალი მასზე ზვავისა,
თან ეს სითეთრე და მწვანე ფერი,
მან ხომ ღვთისაგან გაითავისა...

მსურს გაძლიერდეს ძალა რწმენისა,
მშურს ქედუხრელი, მკაცრი კლდეების,
ყურს დავუგდებდი, რადგან მენიშნა, –
მუნჯ წყაროებთან მკრთალი ბგერები.

ცივ არემარეს ვშორდები მაშინ,
შინ როცა თბილა, დრო არის თოვლის,
თრთის გარეთ ჩიტი, დაეძებს კავშირს,
იმ ზამთარსა და ამ ზამთარს შორის...

8.12.2019, თბილისი

ჭადრის ფოთოლი

შეხედე, როგორ ცვივა ფოთოლი,
რა დღე აყარა ქარმა აშარმა,
ჩამოანგრია ოქროს გოდოლი,
აღარ დაინდო და მიმოშალა.

შეუჩნდა ეჭვი დროს და სიყვითლე
ხეებს ფენებად ჩამოათვარა,
ჩამომხმარაო ტოტი, – იფიქრეს
მოხუცებმა და ბავშვმა პატარამ...

შეხედე, როგორ ცვივა ფოთოლი,
რა დღე აყარა ქარმა აშარმა,
ვეღარ ვცემ პასუხს კითხვას მოგონილს:
ჭადრის ფოთოლმა რა დააშავა?!.

16.10.2019, თბილისი

ბაღი წინანდლის

შეიცხადებენ თალხ ფერებს ქალები, –
კაბები უფრთხიან ამინდებს ქარიანს,
მოილოცებენ ტაძარში მალევე, –
„ოსანას“ ეტყვიან ღვთისმშობელ მარიამს...

ვკითხულობ ფიქრებს და გულისთქმას ჩახლართულს, –
დაეწერებათ სახეზე რაიცა...
მეუბნებოდნენ, თქვენ კიდევ ხომ არ გსურთ,
ფინჯანი ყავა და მონასტრის ჩაიცა...

ვიგონებ ამ სურათს, დიდი ხნის წინანდელს, –
მეწყება, მე მგონი, რეტროთი განწმენდა...
რა კარგი დრო იყო... და ბაღი წინანდლის
თავს იმშვიდებდა, ვითარცა მთაწმინდა...

8.10.2019, თბილისი

გამთენიისას...

წვიმაა ხშირი,
ქარი – ორპირი,
ბავშვივით ტირის
ბაღში ალუჩა.
ამ ქარისა და
ამ წვიმის ჩივილს,
ვგრძნობ, ჯერჯერობით,
ბოლო არ უჩანს...

წვიმაში წყალი
დაეძებს ბილიკს,
დაიწყებს ქილიკს
ქარი წვიმისას
და წვიმის ფარდას,
დახრილს და ირიბს,
მოირგებს კარგად
გამთენიისას...

28.09.2019, თბილისი

არქაული პეიზაჟები

ბაღებია გარშემო ზეთისხილის ხეების,
ცხელ დღეების მოზარე – ნარინჯების ფოთლები,
კვეთენ ცის კაბადონზე საუცხოო ფიგურებს,
რითაც ამსუბუქებენ სევდას, ქვეყნად მოვლენილს.

პართენონის სვეტები, დახავსებულ ტერფებით,
ზევით მიისწრაფვიან, ღრუბლისთვის რომ ეკოცნათ,
შეღამების ცის ფონზე, მძლავრი ტანის ვერხვები –
სივრცეების შემვსები გიგანტური ექოა.

თითქოს პირამიდები – სახეები მეფეთა,
ამშვიდებენ გარემოს არქაული მისტიკის,
ქვიშის მტვერით იწყება დიდ წარსულთან შეხება,
როცა დღეებს უდაბნოს ქარიშხალი მისტირის...

წამებაა სხეულთა, არ ჩანს შვება სულისა,
სიქველეა, რომელიც სიყვარულთან ტოლდება,
მისიაა ყოფისა – აღმოჩენა უფლისა,
სივრცეშია განრთხმული მოთმინება ქრისტესი...

ბაღებია გარშემო ზეთისხილის ხეების,
ნარინჯების ფოთლები – ცხელ დღეების მოზარე,
კვეთენ ცის კაბადონზე საუცხოო ფიგურებს
და სხივების ნატერფალთ გულისყურით ზომავენ...

25.09.2019, თბილისი

სცენაზე...

მეგობარ მსახიობს – ჯანო იზორიას

ედავებიან ფოთლები ფოთლებს,
თავაწეული დგანან ტალღები,
ალბატროსები ირჩევენ როლებს,
სცენას შერჩებათ პასტორალები.

ერეკებიან მინდვრიდან ხბორებს
შრომით დაღლილი თივის მთიბველნი,
უფრთხიან შლეგად გაჩენილ მორევს
ზღვის შემხედვარე პილიგრიმები.

ჩამოეშვება ღრუბლების ჩრდილი,
ვინ იცის, ქარი რას დააპირებს?!
თითქმის ღამეა, ნაბიჯი ფრთხილი
უახლოვდება ფერად ნაპირებს...

ეს პეიზაჟი ამშვენებს ფარდას, –
სცენაზე მძლავრი სუნთქვის შემომტანს...
ვზივარ პარტერში, გავყურებ ცარგვალს
და სიყვარული მანთებს ზემოდან...

14.09.2019, თბილისი

სასაფლაოსთან...

სასაფლაოსთან თავდახრილი მზეთა ჩრდილები
ელოდებიან ქვის სვეტებთან თვალებს ცრემლიანთ,
აქ გადმოსახლდნენ, სამუდამოდ, გარდაცვლილები
და მზის ჩასვლისას მახსოვრობას ესალმებიან.

ამ დროს მეტია მათში წვდომა, მათთან კავშირი,
რაც გონს გულისას მიმწუხრისას მოლანდებია,
სამყაროს სუნთქვა – ულმობელი, ცივი და ხშირი
გალაქტიკიდან მოსროლილი ფოლადებია.

წრეზე ტრიალებს, დასაბამით, ხვედრი ყოველთა,
ხვედრი ყოველთა – ქრისტე ჩვენთვის ჯვარზე
გაკრული,
შთამომავალთა სიკეთისთვის ზრუნვა მშობელთა,
მადლია ღვთისა – კოსმოსიდან შთაგონებული...

არ შეჩერდება სპირალური ბრუნვა ხილვების,
გავხედავ წარსულს – მსუბუქ ქროლვის
ზეფირებიანს.
ელოდებიან მზეთა ჩრდილებს გარდაცვლილები
და მზის ჩასვლისას მახსოვრობას ეფინებიან...

31.08.2019, თბილისი

ქალო

ქალო, რა ლამაზად იღიმები,
რა მშვენიერ კბილებს აჩენ, ქალო,
თმებში ჩახვეული გვირილები,
ზღვისგან მონაბერი ქარიაო.

ჰოდა, ამიტომაც დილას ვხვდები,
ღმერთსაც – შემოქმედსაც დიდად ვმადლობ,
შენ კი ახლა მომკელს ელოდები,
უკვე მწიფე ყანა – ოქროს კალოს...

ქალო, რა ლამაზად იღიმები,
თმები ჩამოგღვრია მკერდზე, ქალო,
შენსას შინაარსსაც ვერ ჩავწვდები,
როგორც მარგარიტას ნიკალაო...

10.07.2019, თბილისი

* * *

ჩატანებული ვარ წვიმის წვეთში,
ცრემლში, – ფოთლებზე ნამი დიოდა,
ბალახის ძირში, ყვავილის მკერდში,
სიცოცხლე იქაც ქუხდა, კიოდა...

მიყვარს სამყაროს უცნობი ხედი,
მისი ყოველი ხაზი – ნატიფი,
ვწევარ მზის გულზე – ამ ლექსის ხვედრი,
უხვად მოსული სიტყვის სათიბი...

13.06.2019, თბილისი

განწყობა

თავისთვის არის ზეცა, მარტოა, –
სხივებს გამოცრის, ვით პირამიდებს
და შავი ფანქრით ნახატ მათხოვარს
ხურდას ჩავუყრი, მუჭში რაც მიდევს...

აიორთქლება ღრუბლებში სევდა, –
უკეთეს შედეგს, ნეტავ, რას ველი?
გავა დრო... როგორც ძველი სიმღერა,
მომაგონდება ამ დღის ნათელი...

10.05.2019, თბილისი

ისევ მარტია ძალაში...

დღე ღრუბლით, წვიმით იწყება, –
ზღვის პირია, თუ მთის ფერდი.
წვიმს, ქარი ღელავს, მინდვრებმა
აათამაშეს, თრთის ლეღვი.

ამბობენ: არის აპრილი, –
განა, რა მიკვირს ამაში?!
მარტი მარტობსო მარტვილი,
ისევ მარტია ძალაში...

19.04.2019, თბილისი

გადაფასება

უცხო ფერი აქვს ფიქრებს შეჩენილს,
ვიდრე ეს იყო ადრე თუ მანამ:
ვით წვიმის შემდეგ – ღრუბელს შეფერილს,
ვით ღელვის შემდეგ – სოველ ნიადაგს,
ვით თოვის შემდეგ – თოვლს დამზრალს ყინვით, –
თითქოს ახალი ფიფქი ეყარა...
გადაუფასდა წლებს ძველი ხიბლი,
ჰოდა, სხვა თვალით ვუმზერ ქვეყანას...

1.04.2019, თბილისი

ტერენტი გრანელი

დრო,
გავა დრო იმდენიც, რამდენიც გავიდა,
ჩემში წლებს განვდევნი.
თოვს,
თმებში ვერცხლისფერი ცვივა ფანტელი.

აქ,
ძლიერი სიცივეა,
კაცთა წყალობით ყინვაც ფითრდება.
იქ,
უსასრულო სიჩუმეა და მზის კირთება...

იქ,
მოგონება გამიტაცებს,
სახით ყვითელით წარმომიდგება.
სხვა,
პლანეტაზე მდინარეთა მხიბლავს დინება.

აქ,
იკვეთება ეპოქათა მძლავრი ჭიდილი,
როგორც ღირსება.
და,
ამ ჭიდილში პოეზია არის უსამნო თავდავიწყება.

აქ,
დღეები საუკუნეებს,
დიდი სისწრაფით, გესლით ლესავენ.
და,
ჩემი სულის გადარჩენა გზაა მესამე...

ახლა კი წავალ,
წავალ სადღაც,
თუმცა დროებით.
მხოლოდ ეს ვიცი, –
გალაკტიონს
მოვაგონდები...

27.01.2019, თბილისი

უთენია

უკვე სიბნელე დაფლეთილი
გვერდზე აგდია,
ვხედავ, თუ როგორ დაეუფლა
ლოცვა ამბიონს,
წვიმის ღრუბელი ქედს მოიხრის,
როგორც ლაქია,
ვიღაც უხეში შემაწუხებს,
სულით მდაბიო...
და გარეთ, სისხამ გარიჟრაჟზე
(თრობის ბრალია),
რითმებს და ჰანგებს ვეგებები, –
ლექსის მაყრიონს...

10.04.2019, თბილისი

იდილია

დღე არის უფრო წყნარი და მუნჯი,
არ იცის ქარმა, რა ელის შემდგომ
და როგორც ხისგან ნარჩენი კუნძი,
ფესვების ძალით შევრჩები ფერდობს.

აი, მოლბერტი და მხატვრის ფუნჯი, –
მომახატვინე სამყარო, ღმერთო,
ვიქნები თუნდაც ბალახი – ქუჩი,
რომ მოვეფინო ამ მთებს და მდელოს...

დაეტყო ბზარი ცას კაბადონზე,
ცხელმა მნათობმა სადაც ინათა
და მთის კალთებზე, საბალახოზე,
მზე ათბობს ბარდებს თუ ბაიათა...

დღე არის უფრო წყნარი და მუნჯი,
არ იცის ქარმა, რა ელის შემდგომ
და როგორც ხისგან ნარჩენი კუნძი,
ფესვების ძალით შევრჩები ფერდობს.

30.03.2019, თბილისი

სიმღერა

მზეს,
ვუყურებს მზეს;
ცას,
ვუყურებ ცას;
ზღვას,
ვუყურებ ზღვას –
ჩამავალ მზისას...
მთას,
ვუყურებ მთას –
ქედმაღალს,
თითქოს თოვლიანს
და მის ფერდობზე
უნებურად
ფიფქნი მოდიან...
თავს იწონებენ
ჩქერალები
აღმავალ მზისა,
მწვერვალს თოვლიანს
შეეტყობა
ძარღვები გზისა...
კვლავ ამაყოლა
ამ გზას
მთის წვერზე
ფიქრთა მრუდებმა, –
ასე მგონია,
სიყმაწვილე
დამიბრუნდება...

17.01.2019, თბილისი

ზამთარი

(ვროტესკი)

ლია თუშურს

ვერ ვხვდები მაინც, სად ცივა ახლა...
და თუკი მაინც ცივა სადღაც და, –
შემოსილია ბუნება თალხად,
ამ გზის და იქით, ამ ხიდს გადაღმა.

იმ მთის და იქით, იმ ხევს და შუა,
ლურჯი ბილიკი მოდის წყლიანი,
ქვემოთ ფოთლები დაყრილი თუა,
ფერებს დააფრქვევს მოდილიანი.

ზამთრის ბუნება მუნჯი და ყრუა,
ვეღარ ჩაესმის ჰანგი მართული,
იმ მთის და იქით, იმ ხევს და შუა,
თავმოწონებით არის გართული.

და მაინც, სადღაც სიცივე თუა,
ნაღდად, სიცივე არის სადღაც და, –
ამ მთის და იქით, ამ ხევს და შუა,
იმ გზის და იქით, იმ ხიდს გადაღმა...

10.12.2018, თბილისი

შემოდგომა

ო, ისევ ცვივათ ხეებს ფოთლები, –
დასევდიანდა, ვხედავ, დემეტრა.
აღძრული რითმა ფანტავს მოდენილ
სევდას, რომელიც გადამემეტა.

ორთაჭალაში მტკვართან მზე, ვგონებ,
ფერებად დნება, როგორც ეგების...
ახლა იწყება დრო პერსეფონეს,
ჰადესთან ტკბილი მოგონებების...

10.11.2018 თბილისი

გათენება

ჩაიწურება მტევანი ქვევრში, –
კაცი ბადაგის ბარაქას იკრებს,
ჩამოიფერთხავს გონება მტვერში
ამოვლებულ და ჩანაცრულ ფიქრებს.

მთა მხარს აუბამს ხეების წუხილს,
თან ხელს წამოკრავს ცაზე ნაფლეთებს,
და ვით ოდითგან, და როგორც უწინ,
მზეს ფანჯრებიდან შემოახეტებს...

31.10.2018 თბილისი

* * *

დარდი აღარ გადარდდა,
არც წუხილი წუხილობს,
მოკლედ, ისე გაავდრდა,
ღამე დარჩა უძილოდ.

ჩამოუშვა წვიმამ ფრთა,
აისი ვერ აისობს,
ქარიც ძალზე გააფთრდა,
ხეებს გულზე დაისობს...

მენატრება დროება,
რომ ბავშვობის რაფიდან
გადავხედო ცხოვრებას,
დავუბრუნდე თავიდან.

8.09.2018, თბილისი

რეტრო

ელვამ ხის ტოტი თვალით მონიშნა,
ჩამოისწორა ტოტმა ფოთლები,
თან წვიმის დროა, – თითქოს ორნიშნა
რიცხვებს ჩამძახის თიხის ქოთნები...

მიწამ აუშვა მკვეთრი სურნელი,
ჩიტი ემალვის ღრუბლების ქადილს
და ისე, როგორც მთვრალი მკურნალი,
გზააბნეული კარდაკარ დადის...

ცა მოიღუშა, ასე მგონია,
სახეს უფარავს ფერები ცივი...
მამშვიდებს დედა და სანდომიან
შავ-თეთრ ფოტოთი მიგზავნის ღიმილს.

6.06.2018, თბილისი

მოხევე გოგონას

ლექსებს დავუწერ ქალას მანდაურს, –
კლდეებში ნაძერწ ამბავს – ლეგენდას.
დაველოდები შემდეგ საზღაურს, –
მოხევისაგან ნასროლ „ბერდენკას“...

ლექსებს დავუწერ ქალას მანდაურს, –
ხევში მომდინარ წყაროს ანკარას.
რწმენით შევხვდები ყველა სასწაულს,
მყინვარის ცამ რომ თავს დამაყარა...

და შორით ვუმზერ ქალას მანდაურს,
დამთრგუნველია ხიბლი მთებისა...
საღამო მჯაბნის ლექსით გათანგულს,
მწამს ძლიერება გათენებისა...

29.09.1987, თბილისი

მოგონება

დროიდან დროში,
წამიდან წამში,
ფირიდან ფირში
გადაინაცვლა.
შემდეგ შეჩერდა
წარსულის კართან,
კარი შეაღო,
შიგ ჩაიკარგა.
სადღაც მიაგნო
გახუნებულ ყუთს,
დიდხანს ეძება,
რაც მას ენება.
გადმომიყარა,
თვალწინ დამიგდო
რამოდენიმე
ძველი ჩვენება.

22.12.1983, თბილისი

ვგრძნობ, უზარმაზარ სევდას ვატარებ, – მშობლიურ მიწის მკერდში გამოცრილს

ბარათი მეინვარს

ჩამოიბერტყავს მთები ამ ბარებს
და ღრუბელ-ღრუბელ ცრემლებს ჩამოყრის...
ვგრძნობ, უზარმაზარ სევდას ვატარებ, –
მშობლიურ მიწის მკერდში გამოცრილს.

ვხედავ, აისით ზღვა რომ მშვენდება,
მარტვილში ბერი წურავს ზედაშეს...
ვარ გაზაფხულის შემოქმედება, –
ჩემი სამშობლოს გრძნობის წინაშე...

არ დანებდება ცისკარი წყვდიადს, –
მზე უსათუოდ გამოანათებს...
და მთებს შევერცხლილთ, შუქებით დიადთ,
ხელისკანკალით ვუწერ ბარათებს...

5.01.2018, თბილისი

საქართველო

ნიშანი მზის
კრავს ვაზის ჯვარს...
ციალი ცის
ველს გადიარს...
ჩრდილოდან ვმზერ:
ლიბრიან მთებს
და ლაინ ზღვას,
მეწამულ ფერს
ცაისას
მზის ჩასვლის ჟამს...
მუზიან ზარს
ხმით მადლი სდის...
მე შენთან ვარ –
მარადის!
მე შენთან ვარ...

18.11.1989, ს-პეტერბურგი

წმინდა ნინო

(ვედრება)

„ხეთაგან კეთილთა ნაყოფი კეთილი“
ამოდი მზისაგან.
შენ ჯვარი გეზმანა
ღვთისმშობლის მოწვდილი,
ქართლს შემოგებრძანა.
შემოდი ნათელი
და სიბრძნით მოსილი,
განგვბანე ზნისაგან.
შენ,
„ზეცის ნიჭთა და პატივთა“ მიმნდობი,
მარადის ჩვენთან ხარ.
ჩვენ,
ერი წმინდისა ღვთისმშობლის წილხვდომი,
შენი ფრთის ქვეშა ვართ.
წმინდაო ნინოო,
დედაო ძლიერო,
დაგვიცევ მტრისაგან
და ავი ხმისაგან.
მადლი გაქვს ჯვრისაგან
ვაზისა...

19.11.1989, ს-პეტერბურგი

9 აპრილს წამებულთ

ჟამი წარმართობის...
შემწედ ერს ტანჯულს,
ებოძა ნინო,
მან ღმერთთან წაგვგვარა.
ის ქალიც ნინოა,
ვინც სისხლი დაღვარა
და საზრდო მისცა
ნიადაგს ქართულს.

19.04.1989, თბილისი

მარაბდა

ეროვნულ გმირებს – ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას

სამაროვნიდან უცხო ლანდი ამოსამარდა, –
შეღამებისას მზე რომ იყო ცაზე ჩენილი.
მწუხარე ხედით იმოსება ძველი მარაბდა, –
კარდუს დროინდელ ცხენთა რბოლით გადათელილი...

და ამის შემდეგ სევდიანი მეტად დრო გავა, –
სისხლით, წვალებით, მოღალატის კვალით ნაძრახი...
ვაჰმეო, ბიჭო, – დაიძახა მერაბ კოსტავამ
და ზვიადის ცხენს შემოარტყა თურმე მათრახი...

10.10.2015, თბილისი

„კოლხური კოშკი“, 1992 წლის 15 მაისი

აქ სიმშვიდეა და დიდებულ აჩრდილთა სევდა,
დიდი ტკივილი პილიგრიმთა და ლიტანია...
კვლავ ჩამოსულა უთენია ფხოვიდან დედა,
განმკურნებელი მკერდის სითბო მოუტანია.

ილიას მიერ ანთებული კაშკაშებს ალი, –
სიტყვა მართალი, რაიც ახლა ჩვენი ფარია,
აქ შეუნახავთ რუდუნებით წმინდა გრაალი
და ჭყონს ფესვმაგარს ამ ალაგას გაუხარია.

ათასი ჯურის მოღალატე და სულით ბომჟი
შემოსევია ჩემი მიწის წმინდა ალაგებს...
დგას გულდამწვარი, დაგესლილი „კოლხური კოშკი“, –
გონზე მოდითო, ქართველებო, – ამას ღაღადებს.

აქ სიმშვიდეა და დიდებულ აჩრდილთა სევდა...

15.05.1992, თბილისი

მზის გამოსახვა მშვიდი

საქართველოს პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას

მზის გამოსახვის მშვიდის
სევდით მოსილი მზერა...
ორ სანაპიროს ხიდი
ირმის ნახტომზე ზვერავს.
ამხედრებული ცხენზე,
ვჭვრეტთ, დრაკონს ებრძვის გმირი,
გვთრგუნავს ფენიდან ფენზე
„სასწორთვალათა“ ხიბლი.
აქ უამრავი ფლიდი
ნეტავ, ვის თხოვდა ვალებს? –
მზის გამოსახვის მშვიდის
ჩვენთვის გახელილ თვალებს?!
ვხედავ, რომ ცდილობს ვიღაც
ვისით შეცვალოს ვისი,
დროებითია ყველა,
სასაცილოა ფიციც...
მეც ვარ იმ ქვეყნის შვილი,
ვინც გაყენებდა ზიანს,
საყვედურებს და ქილიკს
უსინდისონი ქმნიან,
ვინც დაგედევნა ტყეში
ნაბდით და ჯოხით მავალს,
ათასი სულით ლეში
წარწყმედის გზაზე წავა...
მზის გამოსახვა მშვიდი
ქვიშაზე ხაზებს ავლებს, –
ვეღარ ქცეულა მისით
პავლედ ჯალათი სავლე...

19.11.2018, თბილისი

ექვთიმე

ახალს რას მეტყვი, ჩემო თოლიგე?
ვიცი, კითხვაზე კითხვით მომიგებ.
სხვას რას იზამდა, ნეტავ, ექვთიმე,
ზვარაკად განძს რომ ქართულს შევწირეთ?!
სხვას რას იზამდა, ნეტავ, ზვიადი? –
ტარიგად ევნო მსოფლიო ზვირთებს,
და საქართველოს, განა პირადი,
საქმისთვის სიკვდილს თუ ამჯობინებს?!
სხვას რას იზამდა გალაკტიონი,
თუ არა ლექსით იყო წამება?
და სიტყვა მისი, გალაქტიკაში
მუსიკის ჰანგად აისახება.
სხვას რას იზამდა, ნეტავ, ნიკალა? –
ფერი ეზიდა მთით და ციდანა,
დუქნის ეხატა ძველი კედლები
და მუშამბებზე ედნო დედნები.
სხვას რას იზამდა ნოინთან ცოტნე,
თუ საქართველო გულიდან მოწყდეს?!
ხორცი ვერ ტანჯეს, სული ვერ მოსრეს,
კოლხი ვაჟკაცი ხოტბით შემოსეს...
ჰოდა, ასეთ ერს ჰყავდა ექვთიმე,
როგორც მეტაძრე, როგორც მესტვირე...
ახლა რას მეტყვი, ჩემო თოლიგე,
თუ კვლავ კითხვაზე კითხვით მომიგებ?..

22.02.2021, თბილისი

არაგვის ხეობა

(განწყობა)

შევერცხლილს ვხედავ სველ კორდებს,
ნისლი ფერდობზე გავიდა,
შენკენ მანძილი მაშორებს,
სვლას ვერ დავიწყებ თავიდან.
ამომავალო ვარსკვლავო,
იმედით გიცქერ ბარიდან,
გთხოვ, ერთი ლექსი მასწავლო,
სიტყვა მაჩუქო საფიცრად.
დამწუხრებული ბუნება
ამინდებს იწვევს მტირალებს,
ქარბუქის მძიმე ხუნდებმა
შარა-გზა გამიტიალეს.
დადუმებულა ხეობა,
არაგვიც აღარ ღრიალებს,
დაღონებული შევყურებ
შენს თვალებს, ცრემლით ცვრიანებს.

23.11.2020, თბილისი, გიორგობა

ხერთვისის ციხე

ვუახლოვდები ასპინძით ხერთვისს,
გზა არის მწვანე, სუფთა, მართალი.
სამშობლოსათვის მტერს დღემდე ებრძვის
საზღვართან მდგარი დიდი სარდალი.

ცა გამჭვირვალე მაღალ მთებს ერთვის,
არქაულ დღეებს ირეკლავს ჟამი.
თავს აფარებენ ომის დროს ხერთვისს,
ხერთვისის ციხის მიცავს აბჯარი.

ფარავნისა და მტკვრის შესართავთან
ყიჟინისა და ზათქის ხმა მესმის.
ვდგავარ ხერთვისის დახრილ კალთასთან,
კალთას ვუკოცნი ბუმბერაზ ხერთვისს...

5.11.2020, თბილისი

შინდისის გმირებს

შანსი არ არის,
არ დავიწყო ბრძოლა თავიდან;
შანსი არ არის,
სამშობლოსთვის არ ძგერდეს გული;
შანსი არ არის,
მოვიკვეთო წმინდა ტაძრიდან;
შანსი არ არის,
დავეხარბო სიცოცხლის წყურვილს;
შანსი არ არის,
არ მიყვარდეს მოყვასი ჩემი;
შანსი არ არის,
რომ ეგოსთვის ვიცოცხლო მხოლოდ;
შანსი არ არის,
არ მდიოდეს ალალი ცრემლი;
შანსი არ არის,
სამართალი არ ვპოვო ბოლოს;
შანსი არ არის,
ავირიდო ტვირთი საზიდად;
შანსი არ არის,
ავიცდინო ტყვია ნასროლი;
შანსი არ არის,
რომ დავაგდო სიტყვა ყასიდად;
შანსი არ არის,
ურჯულოთა ვიყო ამყოლი;
შანსი არ არის,
გამიტაცებს ზღვაზე მზის ჩასვლა;
შანსი არ არის,
გამაოცებს ხილვა არწივის;

შანსი არ არის,
არ მივხედო მეგობრის საფლავს;
შანსი არ არის,
მტერთან მქონდეს თავი დახრილი...
და მაინც, როცა,
დასალიერს მზე ნახევრდება;
და მაინც, როცა,
ითელება ფეხქვეშ ბალახი;
და მაინც როცა,
არ გაქვს შანსი და შანსი ჩნდება, –
ამ ყველაფერზე
მუდამ ვიტყვი: შანსი არ არის...

7.08.2020, თბილისი

საფარა

გზა შეუერთდა ხევში ჩავარდნილ
ბილიკს, რომელიც მოწყდა კერიას,
თავზე კლდე მადგას, მყარი საფარი, –
აქ უძველესი მონასტერია.

შორიდან ვხედავ ნისლებში ჩაფლულს,
მთებს შორის ჭრილში როგორ ჩამჯდარა.
ამ წმინდა ადგილს ჩაუთქვი, რაც გსურს,
უმალ გისრულებს სურვილს საფარა...

29.07.2020, თბილისი

ოკაცე

ასე ახლოა, თურმე, ცარგვალი,
ცა არის მშვიდი, თანაც გულწრფელი,
დაბრუნებამდე გეტყვი – ნახვამდის,
ფრთების დანახვას შენსას ვირჩევდი...

მწვერვალებია თვალწინ წარმტაცი,
ეს ადგილია ფრინველთ სამეფო,
ორბის საფრენზე, მთებში გარდაცვლილ
ჩრდილებს მიყვება გზა საცალფეხო.

აქ ზოგი კლდეა, სახე მიუგავს
ომში მიმავალ ვაჟკაცს, მოწამეს,
ვხედავ, თვალნათლივ, აშილ მიურატს,
მუხის კასრებში წურავს ოჯალეშს.

დადიანების სახლი ამენთო,
ვუახლოვდები როცა ნასახლარს,
ჩემია გოჯი მიწაც, რამეთუ,
მას წინაპართა სისხლი თან ახლავს.

გასაიდუმლდა გრძნობა ამგვარი,
არ ვიცი, როგორ ვთქვა ერთი სიტყვაც,
დაბრუნებამდე გეტყვი – ნახვამდის,
თუმცა, შობილი აქ რჩება რითმა...

11.07.2020, თბილისი

გადასახედი

აგერ, წარსულის გადასახედი:
მშფოთვარე წელი – ცხრაასცამეტი;
ცხრაასთოთხმეტი – პირველი ომი,
ევროპის ნგრევა, სისხლი და შმორი;
რევოლუციის მღელვარე ტალღა,
ცხრაასჩვიდმეტშიც იტირა ბალღმა;
ცხრაასთვრამეტი – თავისუფლება,
დროშა ქართული, ჰიმნი „დიდება“;
ოცდაერთმა ხომ დაგვრია ხელი,
ჩაგვიქრო ცეცხლი, მოგვწყვიტა წელი;
აჯანყებების მკრთალი ნათება, –
ოცდაოთხი და ერის ანთება;
ოცდაჩვიდმეტში კვლა და შიმშილი,
ისევ მსოფლიო ომის წისქვილი,
სამასი ათას ქართველს მივტირი,
ვინც აღიმართა კედლად ქვითკირის;
ორმოცდათექვსმეტს – სისხლიან ვარდებს,
აღარ ესმოდა კითხვის რაობა,
ჩამოფარებულ უმძიმეს ფარდებს
უხმლოდ ებრძოდა წინა თაობა;
შემდეგ – ყინული, მდორე მდინარე,
რამოდენიმე კაცის წინარე;
„მამული, ენა, სარწმუნოება“, –
სამოცდათვრამეტს ედგა დროება;
ოთხმოცდაცხრაში – წვა, თავგანწირვა,
სული დიადი ჰპოვა არწივმა;

ოთხმოცდათერთმეტს მივუძღვნი სალამს,
დღეობა ერგო კვლავ ქართულ ალამს,
რაიც დახარეს, არ შეგვარჩინეს,
თითქოს დაგვსაჯეს და შეგვაშინეს...
ახლა კი, როცა თავი ავწიეთ,
ღამენი მრუმე გადავათიეთ,
უცხოსგან ქმნილმა ჭირმა ნამეტმა,
ყოფა გვიტირა კოვიდ-ცხრამეტმა...

21.05.2020, თბილისი

სნო

დიდებულია ხეობა სნოსი,
კოშკი მესაზღვრე დგას მესაკუთრედ.
აქ ყველაფერი ჩემია, ყნოსვით
ვგრძნობ და სიარულს ეს მისათუთებს.

ხელის გაწვდენაც არ უნდა გერგეტს,
არ უნდა მყინვარს ხელის შეხებაც.
მადლობა ამ ცას, დიდება ამ მთებს,
მშობელივით რომ შემომეგება...

3.08.2018, თბილისი

თელავი

აქვე წინანდალია,
სანავარდოს ბაღები,
გრემის ბინადარია
ადრეული თაღები.
ვფიქრობ იოლ არიას,
მეტ მუსიკას ვეცდები:
ლექსის იორდანეა
და რითმების ბეთლემი...
ალავერდის ვენახებს
მუხლმოდრეკით ვეხები,
იბადება რწმენა დღეს,
რა საოცრად თენდები.
ვიცი, ქარის ბრალია,
გამირბიან ვერხვები:
ლექსის იორდანეა
და რითმების ბეთლემი...
მართლაც, წინანდალია
ამ დღეების გვირგვინი,
ვხედავ ლევან დადიანს
და პოეტებს მისტიკის.
ერეკლესთან ინათებს
ბარაქიან მხარეში,
ვუხმობ დიად წინაპრებს
ლექსის იორდანეში...

1.12.2019, თელავი

ბეთანია

ბერების ამოთქმულ რეკვიემს
სამრეკლოს ჰანგები რეკავენ,
აქ მხოლოდ სიმშვიდეს ეძიებ
მწუხარე საღამოს მეზარე.

შორსაა სხვა ჭირისუფალი
ხედვის და გონების არეში,
ევედრი, გფარავდეს უფალი
ამ ცოდვით დანისლულ მხარეში.

ივიწყებ ხორციელ განცხრომას,
მიყვები ტაძრის ჩრდილს ღამეში,
ემთხვევი კალთაზე მაცხოვარს,
ფარსის და სიყალბის გარეშე.

აქ მხოლოდ სიმშვიდეს ეძიებ,
შფოთვათა არ არის ადგილი,
ანათებს ბერების რეკვიემს
ღვთისმშობლის სპეტაკი მანდილი...

25.07.2019, თბილისი

ნეკრესი

ყვარლის მთიანეთს, შილდის საფირონს
ჩაფიქრებული ადგას ნეკრესი, –
იბერთა ხედვის ცის სანაპიროს,
ალაგს მეფეთა და ერეკლესი.

აქ მიელტვიან სულით აბიბოსს, –
ასურელ მამას, ღვთის რწმენის ბადაგს.
ყვარლის მთიანეთს, შილდის საფირონს
ჩაფიქრებული ნეკრესი ადგას...

ჩამოვიშორებ ქალაქის ტალახს,
ჟამს უცნაურს და თითქოს მანკიერს.
მაკა, გახედე ალაზნის ჭალას, –
მივმართავ ასე მაკა ჯანდიერს...

ყვარლის მთიანეთს, შილდის საფირონს
ჩაფიქრებული ნეკრესი ადგას,
აქ მიელტვიან სულით აბიბოსს, –
ასურელ მამას, ღვთის რწმენის ბადაგს.

24.06.2019, თბილისი

ფოკას დედათა მონასტერი

რა დრო გასულა, ნინო, მას შემდეგ, –
ათას შვიდასი წელი გარბოდა...
და შენს სისავსეს – ღვთისმშობლის შედევრს,
ვეხები ხელით სააქაოდან.

ვეხები იმ ვაზს, თმებით რომ გეპყრა,
ფარავნის ველებს და მთათა რიგებს,
ვგრძნობ ამ მიწაზე ძლიერ ნატერფვალს,
სათნოებით რომ დაათარიღე.

შეგხვდები დღესაც, ვაზის ჯვრით მავალს,
მოგართმევ საგზალს, თანაც – პირველი.
მიყვარხარ ძლიერ... უკვე არც ვმალავ, –
ათას შვიდასი წლის ვარ მხილველი...

რა დრო გასულა, ნინო, მას შემდეგ, –
ათას შვიდასი წელი გარბოდა...
და შენს სისავსეს – ღვთისმშობლის შედევრს,
ვეხები ხელით სააქაოდან.

23.06.2019, თბილისი

„კოლხური კოშკის“ ზმანება

(ერთი სურათის წარმოსახვა)

თბილისის ქუჩებს მზე დანათის,
მაისის თვეა,
„კოლხურ კოშკშიაც“ შემოჭრილა
სხივთა შარბათი,
ეზოში შველი დაფარფატებს,
გაექცა მზერა,
მზეს ეფიცხება წყაროს პირზე
დიდი ნაგაზი.

პატარა კოკო თავის „ვოლგით“
მიდამოს სერავს,
მოითხოვს, ეზოს წრე დაარტყას,
ალბათ, თავიდან,
ბებო და დედა შეჰხარიან,
ვით ნაზარდ ვენახს,
საყვარელ ძმისშვილს ეფონება
თავზე მამიდა.

აქ საქართველო იკვეთება
კოლხური მზერით,
სამშობლოს ბედზე საუბარი
სივრცეში ლღვება,
მერაბ კოსტავა დააბიჯებს
ნაბიჯით ნელით,
ზვიადი დინჯად ახალ-ახალ
ამბებზე ყვება.

როდის იქნება საქართველო
თავის უფალი? –
ორი ვაჟკაცის საუბარში
ერთვება ყველა...
ხის სავარძელში, ქორა მახშვი,
ზის დიდოსტატი
და თან, ინოლა გურგულიას
სიმღერით ტკბება.

15.05.2019, თბილისი

არმაზი

საუკუნეთა დღენი ჩათავდა,
დამცქერის ზეცა, როგორც მიმინო.
შეწუხებულა ციხე არმაზთან, –
თითქოს უმწეო და უგვირგვინო.

ვგრძნობ, როგორ ძერწავს მზის ჩრდილი ლანდებს,
როგორ სწვევიათ ფიქრებს სევდები.
ჩემში ვაცოცხლებ უძველეს კადრებს,
ტკივილიანი დღეთა ხედებით...

3.03.2018, თბილისი

გერგეტის სამება

მყინვარმა თავზე ჩამომათოვა,
მოხევურს მღერის ჩემთვის არაგვი,
გერგეტის კართან ვხედავ მაცხოვარს,
სნოსთან დაწურულ შუქის წარაფით.

გული ამივსო თერგმა გრძნობებით,
ცამ აღიარა მზეში სინათლე, –
აქ საქართველო, როგორც მოლბერტი,
მრავალი ფერით დგას ჩემს წინაშე...

16.03.2021, თბილისი

როცა ასეთი სიყვარულია

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს,
ბატონ ნუგზარ ნადარაიას

მე ვუყურებდი უძველეს კოლხეთს,
ქველ წინაპართა დიად ნაკვალევს,
უხსოვარ ხნიდან ღრმა სევდა მოსდევს
ჩემს სულის წიაღს, მზერის ნაპრალებს.

მე შევხაროდი მეფე აიეტს,
მის ძლიერებას და გონს – გამჭრიახს,
მწამს, ციხე-გოჯში გაიაპრილებს,
რადგან დიდების კვალი ატყვია.

იღწვოდნენ ერთად ბრძენკაცი ქუჯი
და ფარნავაზი სახემზიანი,
რომ საქართველო – შეკრული მუშტი,
იყოს ძლიერი და ერთიანი.

მირიან მეფე ისმენდა ლოცვებს,
დედუფალ ნანას რჩევებს მადლიანს,
ეს ჯვარი ნინოს, თმებით რომ მოწნეს,
უკურთხებია წმინდა მარიამს...

მინახავს ხოხბის გრძნეულ თილისმით
შთაგონებული მეფე ვახტანგი, –
აშენდებაო აქა ტფილისი,
ქალაქი – დედა და თვალწარმტაცი...

ვურჩევდი გუბაზს, – აიცდენ-მეთქი
ფარისეველთა ფარულ მარწუხებს.
ის ტრაგედია, ხობისწყლის ხედით,
რაც გუშინ იყო, დღესაც მაწუხებს.

ვაკვირდებოდი, გრიგოლ ხანძთელი
როგორ აგებდა სამცხეში ტაძარს
და აღარ მიკვირს, ტაო-კლარჯეთი,
ჟამიდან ჟამში, ასე რომ მხანძრავს.

სამეგრელოში ყოველი ჭყონი,
თვით ჭყონდიდელის სახელით მმოსავს, –
მან აქ აღზარდა ძალა და გონი,
რაც გზნებით ანთებს თითეულ მგოსანს.

ჰე, მეომარნო ქრისტესიანო, –
მოუწოდებდა ლაშქარს დავითი,
გამარჯვებული დამრჩა დიდგორი,
მძლეთა მძლეველი გავხდი ამითი.

ფრთიანდებოდა მეფე თამარი, –
რას ვინატრებდი უფრო ფასიანს?!
მან აღასრულა ნება მთავარი:
შემუსრა მტერი შამქორს, ბასიანს...

მე ვუყურებდი მოძმეთა შორის
სიცხით გათანგულ ცოტნე დადიანს,
მისი გმირობის მოშურნეები,
ვაგლახ, ამქვეყნად მრავლად დადიან...

როგორ მჯეროდა, ენგურს მოვარდნილს
გადალახავდა თარაშ ემხვარი, –
არ იქნებოდა მთვარის ოვალი
დამწუხრებული და ნაოხრალი.

ვინ იფიქრებდა, ათას წლის შემდეგ
კვლავ მოაჭრიდნენ მარჯვენას უტას,
განადიდებდნენ იუდას „შედევრს“, –
იდეას ძვირფასს აქცევდნენ ფუჭად...

ვუყურებ ისევ, ვით მისტირიან
ეშმაკთა სულებს, ავის მნდომისა,
დაე, აღსრულდეს ეს მისტერია, –
„გზა ჯვარცმისა და გზა აღდგომისა...“

9.04.2019, თბილისი

ზედაზნიდან...

აშლილ ზვირთების ძალით ვნებული,
წყალნი არაგვის მთებში ქებულა,
მცხეთას კი – მშვიდი, გავაკებული,
მტკვართან ბალღივით შეფარებულა...

ბელურასავით ტოტს შემომჯდარი
დაჰყურებს „ჯვარი“ ტაძრებს სცენიდან,
საუკუნეთა გზაგასაყარი, –
გუგუნებს ზარი ზედაზენიდან...

ვარ ანთებული, ამ ხედით მთვრალი,
მუხლის მოდრეკით ლოცვა მინდება,
ქვევით – თბილისი და მდორე მტკვარი,
აქ – სიძველეთა ჩამობინდება...

აშლილ ზვირთების ძალით ვნებული,
წყალნი არაგვის მთებში ქებულა,
მცხეთას კი – მშვიდი, გავაკებული,
მტკვართან ბალღივით შეფარებულა...

28.06.2018, თბილისი

* * *

„და მიხარია, რომ ქართველობა მარადიული განაჩენია!“
ლაშა ნადარეიშვილი

ქართველი იყო, ძალზე ძნელია, –
გესმოდეს მიწის, მთისა თუ ბარის.
მთელი სხეულით თუ გიგემნია
დილის ალერდზე ნაპკური ცვარი,

ან დაღალული მზის ჩასვენება
რუხად შეფერილ ხეების იქით,
ზღვაზე ქარებთან ღამის თენება,
ალმოდებული ტალღების შიშით...

ვინც გინდა იყო – მამრი თუ მდედრი,
მოხუცი, ბავშვი, სუსტი, ძლიერი...
იბრძვი თუ შრომობ, აქებ თუ ყვედრი,
გწამდეს სამშობლოს ბედნიერების...

ქართველი იყო, ძალზე ძნელია, –
მთელი არსებით ნაღდი ქართველი:
სიკვდილმისჯილის განაჩენია,
უფრო მძიმე და ვერმოსახდელი.

25.03.1984, ს-პეტერბურგი

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი

* * *

მეუღლეს – ხათუნა ამაღლობელს

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი,
თუმც, წყაროებში ვერ გაგარჩიე...
შენ ერთვი არაგვს შენი სილაღით,
მე ვებრძვი არაგვს ჩემი მითებით, –
და თუკი ერთხელ გავირითმებით,
შერჩება სივრცეს ჩვენი სიმღერა...

6.10.1993, თბილისი

მაისის ღამე

ხათუნას

უსამნო ფიქრებს
სევდიანი ღრუბლები ფანტავს,
არ ისმის ჩქამიც...
მე ახლა შენთან მაახლოებს
სიშორის განცდა
და მწუხრის ჟამი.

დღეებს არ ვითვლი,
აღარც – საათებს,
არამედ – წამებს.
ლექსით გავუმხელ
გულის წადილს
მაისის ღამეს...

კვლავ მომენატრე.
ამ მონატრებას იმედი მართავს,
ვით კლდეს ჩანჩქერი...
უსამნო ფიქრებს
სევდიანი ღრუბლები ფანტავს
და მზის ნარჩენი...

26.05.1993, თბილისი

ზამთრის ხედები

მეუღლეს – ხათუნა ამაღლობელს

წყვდიადში ვეძებ სინათლის მარცვალს, –
გამაოცებენ ზამთრის ხედები...
გავუფრთხილდებით გზას, ჩვენგან სავალს, –
მიყვარხარ, მჯერა, მეიმედები...

წლები სიმრავლით მომავალს ფარავს
და შემოდგომის მართობს ფერები...
სევდაში ვეძებ ღიმილს ნაპარავს,
უფაქიზესი სიმთა ბგერებით...

შენგან იწყება სიცოცხლის განცდა,
ცის ლაჟვარდებში გამორანდული, –
შემოანათებს ოთახში გვანცა,
ჩაფიქრებული დადის თათული...

ერთად გავყურებთ სარკმლიდან ცარგვალს, –
გამაოცებენ ზამთრის ხედები...
წყვდიადში ვეძებ სინათლის მარცვალს, –
მიყვარხარ, მჯერა, მეიმედები...

06.10.2015, თბილისი

ფოთლები ქარ̀თა

ხათუნას – მოგონებები გარდასულ დღეთა

ამ შემოდგომის მეცვლება ხედვა,
უფრო დინჯდება დღეები ხვალის,
მომაგონდება სიშორის სევდა, –
გრძნობა ღვთიური, წვდომა მომავლის.

კვლავ მცხეთის ქუჩის ვზვერავ გაზონებს,
მიყვარს ყოველი ბილიკი გზათა,
ვერის ხეობის დიაპაზონებს
ვერ აუთავდა ფოთლები ქართა.

ვუმზერ იმ დღეთა ულაღეს ხლართებს,
ახალგაზრდობის მხიბლავს მცდელობა...
ბედნიერებავ, მე შენი მმართებს
მთელი ცხოვრება და გულწრფელობა...

12.10.2018, თბილისი

ექსპრომტი ხათუნას

ჩვენი შეუღლების 26-ე წლისათვის

მთა ათენისა, ზევსი, აგორა,
აკროპოლისის სავსე ტაძრები...
ის, რაც სიზიფვემ ვერ ააგორა,
ჩვენ ავაგორებთ ორმხრივ ძალებით.

სულ ოცდაექვსი ჯერ არის წელი,
რაც ერთად მივალთ გზა-გზა, მთა-გორა...
თათული, გვანცა და ბევრის მთქმელი, –
მთა ათენისა, ზევსი, აგორა...

5.02.2020, თბილისი

მეუღლეს

დასაბამიდან ფიქრებში მახლდე,
ჩვენი არსების ვხედავ შენადნობს,
დაგებული გაქვს ისეთი მახე,
ვთავისუფლდები მისგან ვერასდროს.

უადგილოა ზედმეტი სიტყვა,
არავინაა ირგვლივ შენს მეტი,
და მაინც, შენზე ლექსი თუ მითქვამს,
ბგერაც არ არის მასში ზედმეტი...

1.06.2020, თბილისი

ოცდამეშვიდე მიძღვნა

მზის თვალებში შენებრს
ზღვა შთაბერავს სულს,
კლდისას ნამავს კედელს,
არღვევს ჩამი-ჩუმს;
ყვავილს, როგორც ჰენდელს,
უვერტურა სურს,
წყარო ხატავს შედევრს, –
დახვეწილს და სრულს;
საღამოსებრ ნიავს
და ჭარხლისფერ ბორცვს,
ფრინველების გნიასს,
ცა და მიწა ჰყოფს;
მთვარეც, ფერი ფერსა,
გამოაჩენს თავს,
დაჭორფლილი ზეცა
დაობებულს ჰგავს;
ვერ გაუძლო ფიქრმა
სიყვარულის წნეხს,
გამიძნელდა რითმა,
ლექსიც ითრევს ფეხს...
დილით მიწვევ მზისკენ,
ღრუბელს ფანტავ შენ,
მოწიწებით გირჩევ
ამ მშვენიერ დღეს...

5.02.2021, თბილისი

გვანცას

ერთად შევხვდებით უამრავ მაისს,
მარტი თებერვალს ამ დღეს ულოცავს...
შენს დაბადებას ვადარებ აისს, –
მზის ამოწვერვას ზღვის საუფლოდან.

შენ დაიბადე ნათელი ბავშვი, –
ჰხედავ, სამყარო როგორ ნათდება.
შენ დაიბადე ფერთა ნარნარში,
ღრუბლებში სხივთა გამონათებად...

თუმცა, ვიხსენებ წლებს, უკვე ჩავლილს,
გამიასმაგეთ ფიქრი ქალებმა...
უფრო მშვენდები ლამაზი ქალი, –
დედაშენივით ირმისთვალება...

ეს მეთვრამეტე წელია მაინც, –
ისმის, ხმა ისმის მზის საუფლოდან.
ერთად შევხვდებით უამრავ მაისს, –
მარტი თებერვალს ამ დღეს ულოცავს...

13.02.2017, თბილისი

თათულის

ეს დღე ყოველთვის ჩემთვის სარკოა
და საარაკოდ დასაფიცარი.
ლექსის წინაშე მუდამ მარტო ვარ,
მოველი სიტყვებს როგორც მისანი...

წვიმაში, თქეშში, ღრუბლის მორევში,
როდესაც ქარმა ზღვები არწია,
შემოაბიჯე ჩვენს სამყოფელში,
ვით უმაღლესმა იერარქიამ...

იმედი, განცდა, შიში თუ ძრწოლა,
დიდი ტკივილი დედისმიერი...
ოცდამესამედ სიცოცხლეს ვლოცავ,
ოცდამესამედ ვარ ბედნიერი...

7.11.2017, თბილისი

ნიშანი ღვთისა

უფროს ქალიშვილს – თათული დოლბაიას

ოცდაოთხი წლის წინათ,
უშუქობაში, ქარში,
ღმერთი მაძლევდა ნიშანს, –
შეგეცვლებაო არსი...

ოცდაოთხი წლის წინათ
(ო, როგორ მიყვარს ეს დღე),
დედის სურნელი იცან,
მამის ნერვების ფონზე.

ოცდაოთხი წლის წინათ
(ამ დღეს ნათელი თან სდევს),
შენ რომ მოხვედი, ვფიცავ,
მადლობას ვწირავ გამჩენს...

ოცდაოთხი წლის წინათ,
უშუქობაში, ქარში,
ღმერთი მაძლევდა ნიშანს, –
შეგეცვლებაო არსი...

7.11.2018, თბილისი

წერილი

გვანცას – ჩემს უმცროს ქალიშვილს

მე შენ მოგწერდი წერილს გუშინწინ,
მაგრამ არ მქონდა ამის ნებართვა,
რადგან მესმოდა ხმები მუსიკის,
რაც მთის წყაროდან შხეფებს ემართათ.

მე შენ მოგწერდი წერილს გუშინაც,
თუმცა, დღეები მშვიდად აეწყო, –
ვით ბავშვი წინა საუკუნიდან,
ვუმზერდი მწვანედ შეფენილ ეზოს.

მე შენ მოგწერე დღეს ეს წერილი,
რაითაც მინდა ფიქრი გაგანდო:
ხარ ჩემი სუნთქვა – მზით დაფერილი,
და სიყვარული უმისამართო...

5.04.2019, თბილისი

ხარ უდიდესი ვალდებულება

25 წლის თათულის

შენს აღმოჩენას,
უფრო სწორია,
ცათაგან ფრენას,
თბილი ჩხორია აამეტყველებს
და ყურთა სმენას
გალობით ამკობს
წინაპრის გენი, –
ეგ თვალთა ფერი საუკუნეთა...

ხარ უდიდესი ვალდებულება –
ლექსად მოსული.
ყოველი ბგერა,
გრძნობით მოცული,
მიპყრობს და მჯერა
ლეგენდად თქმული:
შენში გრძელდება
და დამწიფდება ჩემი წარსული...

ამიტომ მიყვარს ეს შემოდგომა,
ეს დღე – ტანსრული,
უძველეს ფესვთან
ამ ჩაღრმავებას
არ აქვს სასრული...
და მე განცდებით გადატვირთული,
უფლის წინაშე
ვარ განტვირთული...

7.11.2019, თბილისი

ადრეული გაზაფხული

მეუღლეს – ხათუნა ამაღლობელს,
შვილებს – თათულის და გვანცას

ქარი ქროლვით დაიღლება,
დაიღლება წვიმა დენით,
თოვლი თოვით დაიშვრება,
წამებულა ღამის თევით.
დილით, ტოტზე დაკვირვებულს,
ეწელება ჭადარს ფრთები, –
ველოდები აღმაფრენას,
თქვენს დიდებას ველოდები...

დამეღლება ქარი ქროლვით,
წვიმა დენით დამეღლება,
ვიბრძვი გულის იმპულსებით,
რამდენადაც შემეძლება.
გახელდება თოვლი თოვით,
ხეებისას ავსებს ღარებს,
ადრეული გაზაფხული,
ვიცი, ძმად რომ მაღიარებს...

24.05.2018, თბილისი

შემოდგომა

შემოდგომა ნეტარებით
უმზერს მტევანს, –
შუქით გამთბარს.
ჩაურგია თავი ლამპარს,
როგორც მძევალს,
მარცვლებს შინა.

აცილებენ ზღვაზე ზაფხულს,
წყდება ტალღა
ნაპირს წინა.
ალბატროსსაც შვენის დაღლა,
მზეს მისტირის,
მაღლა ფრინავს.

ჩემს ეზოში ვეფვერები,
ღვთით და ბედად,
ტყემლის ჩრდილებს.
მოეწონა ლექსი დედას? –
ვკითხავ შვილებს,
წამოშლილებს.

შემოდგომა ნეტარებით
უმზერს მტევანს, –
შუქით გამთბარს.
დამაცადეთ, მოვილევო
ამ სამ თვესაც, –
უთქვამს ზამთარს...

2.09.2019, თბილისი

ორმოცდამეთვრამეტე

სამჯერ ცხრამეტი და კიდევ ერთი
ჩამოიტოვა მარტი ამ მარტმა.
ხელუხლებელი იდგა მოლბერტი,
მოდილიანიმ რაზეც დახატა.

დახატა მასზე რძისფერი ჟანა, –
მაღალი ყელის სუსტი გოდება,
მხრებზე თმებივით ჩამოიშალა
მთელი ცხოვრება და მოგონება.

მეც ხომ მყავს ჩემი სამი ფერია, –
სხივების კიდევ სამი ნამატი,
ანარეკლია, თუ შეერია
ულამაზესი სივრცეს ჩანართი.

მარტივია და აღარც მარტივი,
რამდენიც არის წელი გასული,
ვზრუნავ, განვიცდი, ვიღწვი მარტივით,
ისევ მარტია და გაზაფხული...

12.03.2020, თბილისი

ჩინართა შორის, სევდიან დღეს, იბრუნებს ფერს ფაზისის ცა...

ჩინართა შორის

ჩინართა შორის,
სევდიან დღეს,
იბრუნებს ფერს
ფაზისის ცა...
აწყობენ დოღს
ღრუბლები შორს,
მაძლევენ ტონს
გასაოცარს...
თვალები კრებს
ელვიან შუქს...
მე შენით ვძგერ,
მე შენზე ვწუხ...
ჩინართა შორის,
სევდიან დღეს,
იბრუნებს ფერს
ფაზისის ცა...

23.10.1989, თბილისი

ზღვა მიმწუხრისა

ტალღებზე მზის სხივი ვალალებს,
თვალები ცას რიდით ჰღიმიან,
ვეხები ხავერდის დალალებს,
დალალებს ოქროსფერჩრდილიანს.

მნათობი – ღრუბლიან ვუალით,
ფოთლები ხის ტოტებს ცვივიან.
ჩემს თვალწინ ბუნების სურათი:
ზღვა ცელქობს, ფრინველნი ჰკივიან...

ფიქრები მშორდება მწუხარი, –
საწუხარს ამქვეყნად რა დალევს...
გარემო – მშვიდი და მდუმარი,
ტალღებზე მზის სხივი ვალალებს...

26.10.1988, ფოთი

შეღამება

ზღვის ვალალეებს გააყოლეებს
ჩამავალი მზეი თვალეებს,
ნაპირს ქალეებს აფერადებს,
ისე, როგორც ძვირფას ლალეებს,
მხატვრის ტილოს ქარი დაძრწის
და განწყობის შეცვლას ცდილობს,
ქარი თითქოს მზის სიმებზე
აათრთოლებს ვიოლინოს...

ცა ირღვევა... ჰორიზონტზე
მეწამული ებრძვის ღამეს,
იქვე, ნავთა ქარავანში,
ჩამორჩება ნავი ნავებს...
ანიავებს ნიავი ზღვას,
ალბატროსი წვდება ალებს,
არ ახანებს, შავი ფერი
გულმოდგინედ ავსებს არეს...

24.08.1989, ფოთი

ჩანახატი - 1

ფიფქნი ლაღად მოდიან,
ზღვას ფანტელი ადნება,
თავაწყვეტილ ბორიას
ტალღები აქვს აფრებად.

თუმც ზაფხული შორია
(დაბრუნდება სითბო კვლავ),
მოიისფრო თოლიას
ცხელ დღეებზე დარდი ჰკლავს.

დრო არ ჰყოფნის ჩხორიას
(ახლა მალე ღამდება)...
ფიფქნი ლაღად მოდიან,
ზღვას ფანტელი ადნება...

26.09.1989, თბილისი

ჩანახატი - 2

აღგზნება მზით,
მზე სერავს მთებს
და იქით მთის
ბაცდება ცა;
ცა არღვევს რიტმს,
ცა არღვევს რიტმს, –
მჭვირვალე ფთილს
მიანდობს ქარს;
ქარს გრძნობა გვრის
აწეულ ტაქტს,
რომელიც ჰგავს
ზღვის ტალღათ ცვლას;
ზღვა ლოკავს კლდის
ხორკლიან ტანს
და იქით ზღვის
წითლდება ცა.
ცა არღვევს რიტმს...

15.12.1990, თბილისი

მშობლების ხსოვნას

დამდგარა ჟამი, ფოთლები გცვივა,
დაბერებულხარ ხევ ცით დამზრალო...
მშობლის საფლავთან ასე რომ ცივა,
შენი ბრალია, განა, ზამთარო?!

შეღონებაა ახლა ეს წვიმა,
დღეთა სირბილი მზარავს, მაფიქრებს...
მშობლის საფლავთან ასე რომ ცივა,
წარსულის მზერას გავინაპირებ...

გონება უცხო ნაპირთან მივა
და შეისვენებს ყოფით მაშვრალი...
მშობლის საფლავთან ასე რომ ცივა,
დამნაშავეა, განა, ზამთარი?!

05.10.2015, ფოთი

მოლოდინი

რწმენას დაისისას სევდა მოაქვს მშვიდი,
მელაციცებიან მკრთალი ფიგურები,
ღრუბლის ნათლეთია, თვალს რომ მომარიდებს,
მე და მაგნოლია ზღვისკენ ვიყურებით.

შთაბეჭდილებაა მართლაც წარუშლელი,
ზეცა ფერადოვან კართან მალოდინებს,
აფორიაქდება ნავთა საყუდელი,
როგორც მოადგება გემი რამდენიმე.

ამ გზით დაიწყება ჩემი ისტორია,
მელნით შეივსება ერთი ფოლიანტი,
მესმის მუსიკაში ძველი სიმფონია,
სცენის გაფორმება – თეთრი თოლიათი...

10.10.2020, ფოთი

ვიოლინო და ზღვა

დღე მშვიდდებოდა, ფრთათა სინაზე
დატრიალებდა ტალღებს მინათა,
ტალღა დახტოდა ქალთა წინაშე,
ლივლივით კრებდა ფერებს მცინართა.

იახტის აფრაც თრთოდა ქარივით, –
აღტაცებათა მწე და წილხვედრი,
იყო სურათი ანდამატივით
მიმზიდველი და ძალისმიერი.

შეჩერებული ეს მყიფე კადრი,
ელოდა მზერას ღრმას და უძიროს,
ჰგავდა ნაპირთან ნანახი ქალი
ვიოლინოსთან ჩაკრულ მუსიკოსს...

16.09.2020, თბილისი

შუქურა

ტალღა ქვებს ეხება ირიბად,
თოლია დასცქერის წყლის სარკეს,
მშვიდობით, ხვალ დილით მივდივარ,
გზას შენი სარკმელი მინათებს.

მშორდება კონტური ჭადრების,
დანაცრულ ქუჩების ვუალი,
მძივებად ასხმული სახლები,
წარსული დღეების უარი.

თენდება, მზე არღვევს ჰორიზონტს,
მშვენდება მიწაზე საფარი,
სინათლეს, უფრო მეტს, მოვითხოვ,
სიკეთით გულია გამთბარი...

და ისევ, ტალღები ირიბი,
ვეხები სხივებით ალიონს,
გავხედავ, შუქურა მიღიმის,
ყველასი დარდი რომ წაიღოს...

23.08.2020, ფოთი

ღრუბლის მელოდიები

ცა მელოდიებს ღიღინებს ღრუბლის,
ზღვიდან უბერავს, დღეა ცბიერი,
მზე ხატავს ცაზე სხივების ფუნჯით,
მოვარდისფერო კონდიციებით.

რად დაიზაფრა, არ ვიცი, ზეცა,
ზღვაც დაიჭიმა მუქი დინებით,
ტალღებთან ერთად ხეების კეცვა,
სავსეა ქართა ამბიციებით.

მესალმებიან დღისით ნამზევი,
არქაიზმებით სავსე ლოდები,
მესმის, მზის ცასთან ქიშპით ნაზავი,
ზღვის ფონზე მწველი დიალოგები.

ასე, ამგვარად, ჩამოდნა ეს დღეც,
მზე განერიდა სურათს მხატვრულად.
აღტაცებული შევყურებთ სივრცეს, –
გვანცა, თათული, მე და ხათუნა...

16.08.2020. ფოთი

შეფერადება

მამის ხსოვნას

გამოაფენენ ღრუბლები დილით
აივნის თოკზე ფიქრებს წუხანდელს
და სანამ ბავშვი დაიწყებს ტირილს,
ნაწვიმარია ეზო მუხლამდე...

დანთებულია ბუხარში ცეცხლი,
ავსებულია წყალიც პირამდე,
ჩამოუბერტყავს ქარს ტოტი ვერხვის,
ფოთლები ცვივა დინჯად მიწაზე...

საკვები შეაქვს ბუდეში მერცხალს,
ბაბუა უმღერს დილას, დღენათელს,
აივნის თოკზე პატარა ზეწარს
ჰკიდებს ხათუნა ზრუნვით შენაფერს...

19.05.2020, თბილისი

ჩანახატი - 3

ვგრძნობ ცისაგან ავდარს,
ზღვიდან – რისხვას მეტს,
აღელვებულ ცარგვალს,
ამოუცნობ ხვედრს;
მივიწყებამ ძველი
მომაგონა გზა, –
ოცნებათა რთველი,
სიყვარულში ხსნა;
შევეგუო უნდა,
განრისხებულ დღეთ,
როცა ქარი დუმდა,
დუმდა ტყემლის ხეც;
დაიცალა სეტყვა,
სეტყვისაგან – ცა,
ის, რაც უნდა მეთქვა,
ამ ამინდმა თქვა;
გაწყდა ფენა-ფენა
შავ ღრუბელთა შრე,
დაიხატა ნელა
ჩამავალი მზე;
ასეთ სივრცეს, ნეტარს,
ამაცილებს რა?
ვიცი, ნათელს ვხედავ,
აღარაფერს სხვას;
შუქის სქელი ფარდა
ზეაღმართავს ფრთებს,
არა – ცისგან ავდარს,
ზღვიდან – რისხვას მეტს...

15.04.2020, თბილისი

ფოთის სანაპირო

მზე თვალს ჭრის და მხედველობას ახშობს,
ცაზე სრულად გაუღია კარი.
გავუყვები გზას მშობლიურს, ნაცნობს,
ვიგრძნო ზღვიდან მონაბერი ქარი.

ნაღდ ფოთელებს უნათდებათ სახე, –
ნოსტალგია მეუფლება მწველი,
მშვიდად ვისმენ მათ მოყოლილ ამბებს,
მსიამოვნებს მოგონება ძველი...

საღამომდე, მერამდენედ, ამინდს
შეუცვლია არსებული ფერი,
ისევ წვიმა... ამ ღრუბლების წადილს,
განა, რამემ შეუშალოს ხელი?!

მზე თვალს ჭრის და მხედველობას ბინდავს,
ჭადრის ხეებს ეწელებათ ჩრდილი,
როგორც წინათ, შევისუნთქო მინდა,
ტალღებიდან არეკლილი სხივი...

22.11.2019, თბილისი

მალთაყვის სანაპირზე

მოისარკა ზღვა ტაატით,
ქვიშის ნაპირს ლოკავს ტალღა,
მზე – გრძნობების ანდამატი,
ღრუბლებს ვეღარ დაემალა.
ჩაიმალა ღრუბლის მტვერში
მზე და ფრთები გაეშალა,
მე იმისი იმედი მაქვს,
არ გამექცეს სხვა ქვეყანას.
სახეს იცვლის და ცის კიდეს
ათვერადებს, ხატავს თანა,
მაგრამ, სხივს თუ ჩამოკიდებს,
მშვიდ განწყობას გადათვარავს...

2.11.2019, თბილისი

შვეიცარია, ციურიხი, როტშილდების ოფისი

ფაზისელ მეგობრებს – ჭაბუკი ქოიავას, ბაჩუკი ნოდიას,
ჩოქო მხეიძეს და ალექსანდრ კვარცს...

შვეიცარია... ციურიხი... უკვე მომწყინდით...
იქ, ჩემს ქალაქში, მზემ ზღვის კიდეს თავი ახარა...
მხვდება გულღიად, მის ოფისთან, ბენი როტშილდი,
შოკოლადის და ასი გრამი ვისკის ამარა...

თითქოს მამშვიდებს, დრო გქონდათო ქართველთ
არესის,
ამიერიდან მოირჩენთო ნახმლევ იარას,
ვუთხარი, რომ ვართ პოეზიით უმძვინვარესი, –
მზერა მესროლა, გულიანად გადიხარხარა.

რა იცის უცხომ, როგორ მხვდება ძველი ფაზისი, –
ალექსანდრ კვარცი, ბაჩუკი და მაესტრო ჩოქო,
ჭაბუკას სახლში, აივანზე, ულამაზესი
ლექსთა დინებით ღამეები ისევ ბობოქრობს...

არ დაკლებია ქართულ სუფრას ღვინის თარეში
და მადლი დიდი, ხვედრი არის რაიც რჩეულთა, –
მხატვრული სიტყვა, ლექსი უფრო უდიადესი,
ვიდრე მრავალი მილიარდი მიმობნეულთა...

შვეიცარია... ციურიხი... უკვე მომწყინდით...
იქ, ჩემს ქალაქში, მზემ ზღვის კიდეს თავი ახარა...
მხვდება გულღიად, მის ოფისთან, ბენი როტშილდი,
შოკოლადის და ასი გრამი ვისკის ამარა...

14.10.2019, თბილისი

სათაველებთან

(ფოთში გატარებული დღეების გამოძახილი)

ზღვაურს ფიქრები სეირობენ, ამინდს წვიმიანს
თითქოს საკანში გამოკეტავს სევდა კირთებით,
ამ დროს სიტყვების მოზღვავება უფრო ხშირია,
სტრიქონებს მოსავს მშობლიური პარადიგმები...

ამობრწყინდება უთბილესი შუქი სახლიდან,
ამოუყვება საფეხურებს ფუძის მფარველი,
მომაგონდება უზრუნველი ბავშვის სახიდან
ჰორიზონტებთან მოპაექრე წაბლის თვალები.

არ მიეცემა დავიწყებას განცდა მშობელთა,
ამ დროს რითმების მოზღვავება უფრო ხშირია...
და ისევ ფიქრი უბრუნდება ლექსებს, რომელთა
ამეტყველებით ვეძალები ამინდს წვიმიანს...

20.08.2019, თბილისი

შემოდგომის დასასრული

ცივა. ზღვისპირა ქვიშები
ტალღებს არაფრად დაგიდევს,
აფერმკრთალებენ ფიქრები
გაძვალტყავებულ ამინდებს.

ეს სანაპირო, ძირძველი,
ლირიულ გრძნობას მარიდებს,
მივესალმები პირველი
გაძვალტყავებულ ამინდებს.

დაჩოქებულა მზის სხივი,
ზღვას ჩონგურივით ახიდებს,
თურმე, უნდებათ ტირილი
გაძვალტყავებულ ამინდებს...

და ისევ ცივა... ქვიშები
ტალღებს არაფრად დაგიდევს,
თავს ევლებიან ფიქრები
გაძვალტყავებულ ამინდებს.

4.06.2019, თბილისი

ბავშვობის მეგობარს

თენგიზ შევარდნაძეს

დღე არის ისეთი, როგორიც მეგონა,
თავად მზეს ეცემა სხივები ირიბი,
შევხვდები ქუჩაში მომავალ მეგობარს,
ვინც აღარ მინახავს გუშინ თუ გუშინწინ...

მაღლდება ხეების უზომო ტოტები,
წარსულის ბილიკთან შეხება მეამა,
ზღვის პირად დაყრილი ასი წლის ლოდები
ამბობენ: რა სწრაფად იცვლება პლეადა...

27.05.2019, ფოთი

ნოსტალგია

წვიმა წყალზე ტოტებს ქარგავს,
ტოტი ქარში თრთის და ცოცავს,
ცისარტყელას ვამჩნევ ცარგვალს,
მზის სადარზე სხივს რომ მოსავს.

არ ეტყობა ქარს სიმშვიდე,
ქალაქს მტვრით და ქვიშით მორთავს,
ფრთებს ყველა მხრით მძაფრად იშვერს,
თითქოს უხმობს ბახს თუ მოცარტს.

აივანზე ქარი გოდებს,
ისევ თრთის და ტოკავს ტოტი,
გარეთ მამა დააბოტებს,
უთბილესი ხმით და ნოტით.

წვიმა წყალზე ტოტებს ქარგავს,
ტოტი ქარში ლღვება ლოცვით,
ცისარტყელას ვამჩნევ ცარგვალს,
მზის სადარზე სხივს რომ კოცნის.

16.02.2019, ფოთი

ოქროს ნაპირი

ვიხილე ისევ ოქროს ნაპირი, –
ჩემი ბავშვობის სევდა – გიგანტი,
დაბადებით ვარ სხივთა ვამპირი,
საოცრებათა გულთან მიმტანი.

ვიცი, რომ გული დამიწერს ბარათს,
მაგნოლიების მხიბლავს მკლავები,
მეფერებიან შვილების დარად
ტალღები – სხივთა ამრეკლავები...

გავყურებ სივრცეს და თითქოს ვმარცვლავ
ბუნების ნიჭით ხელთუქმნელ მოტივს,
ჩამესმის, ღამის სიჩუმის ნაცვლად,
ქვიშაზე ტალღის შრიალის ნოტი...

ისევ ძველებურს მიამბობს ზღაპარს
ზღვა და აბრწყინებს თავის ნაპირებს,
ვხედავ ქვიშაზე დახატულ ნახატს,
რომლის წაშლასაც ვერ დავაპირებ...

ვიხილე ჩემი ოქროს ნაპირი, –
განახლებული სევდა – გიგანტი,
დაბადებით ვარ სხივთა ვამპირი,
საოცრებათა გულთან მიმტანი.

24.08.2018, თბილისი

ფოთი

აქ გაზაფხული ადრე მწიფდება, –
სეზანის ფერში ცურავს ქალაქი:
პალიასტომი – მითთა დიდება,
ზღვა – განთვენილი სხივთა ბარაქით.

ეხეტებიან ქუჩებში შინდით
გარშემორტყმული მზეთა ჩრდილები,
ჭადრებს შორის რომ იბუდებს ბინდი,
გლოვას ხატავენ პირამიდები.

გაჯერებულა ჰაერში სევდა,
ტალღას შორდება ლოდი სოველი...
ზღვას და ცას შორის ნათელს რომ ვხედავ,
აღმატებული არის ყოველი.

22.01.2018, თბილისი

მიიღეთ ჩემგან ძღვენი ამგვარი, -
ერთი ფურცელი, სიტყვით გამთბარი

ბატონ თენგიზ უთმელიძეს

სუხიშვილების ლეგენდარულ სოლისტს,
მისი 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად

ვაჟკაცი იგი მხრებგაშლილი, მტერთათვის ურჩი,
სცენაზე ცეცხლის დასანთებად შემოაბიჯებს.
გარინდებული ელოდება დარბაზი მუნჯი
ქარიშხალს ძლიერს, ზღვათა ღელვას და მზის
ნარინჯებს...

აქ საქართველო იხატება და მისტერია, –
წვდომა ღვთიური საუკუნეთ ჩამოგლეჯს ტოტებს.
ქართული როკვით დაწერილი ეს ისტორია
ათასწლეულებს დღეებივით ჩამოიტოვებს...

15.05.2018, თბილისი

თენგიზ ბურჭულაძეს

ჩემს მასწავლებელს

სისხლი მაცხოვრისა
და რწმენა გრაალის,
საუკუნეთა დღეები მრავალი,
ძიება ახლის
და პოვნა მთავარის, –
კოლხეთით დაწყებული
და დღემდე მავალი:
სიბრძნე, აზრი და სულის სისპეტაკე
გრაალის რაინდებს ადგამს შარავანდედს.
შემდგომ ამისა:
ათასჯერ გადაუვლიათ
ლენგს, ყაენთ, თუ ხანთა,
შენთვის უპირველესია
დაღვრილ სისხლის განცდა,
ასე შეგსისხლგხორცებია
გელათი თუ ხანძთა...

გენდობიან თავდახრილი
ბეთანიის ბილიკები,
გინათებენ ღამეს სხივით
მაცხოვარის შიკრიკები.
უმანკოა გულის ფეთქვა,
მომართული ცეცხლით მზისა,
რწმენას გონებაში ძერწავ,
როგორც პეტრე – ასლი კლდისა...

12.05.1985, თბილისი

ოფორტი

პოეტ რამინ საჯაიას

ამომეტვიფრა თვალწინ ოფორტი,
შხაპუნა წვიმით მარხულობს ზეცა.
ლექსია ჩემი სულის კომფორტი
და მითიურში ლიცლიცი ფერთა.

უკვე გავცილდი უხილავ დაისს,
მიკედლებული ღამეს ადრიან,
კვლავ ებრძვის ქარი ავდრიან მაისს,
კვლავ ახლავს წვიმა მაისს ავდრიანს.

გაზაფხულის და ქარის ბრძოლაში
ჩამოიბერტყავს ტოტებს ატამი
და მიხარია, – ასეთ თოვაში
ტკივილიც არ მაქვს გადასატანი.

„ტყეს შეპარვია ფერთა სინაზე“, –
შენ წერდი ამას სევდით და ღრუბლით,
შენ წერდი ამას გამთენიისას
და მაინც გდევდა ღამის უფსკრული...

ჰოდა, გაწუხებს ლირიული დრო,
თანაც ბუნებაც შებურვილია, –
შენში ფერები სხვა ფერებს ნიშნავს,
შენში ფერები სხვა წყურვილია.

ვაგრძელებ წერილს, დარდი მაქვს მეტი,
განცდაა მეტი – გრძნობის ამკლები,

ჩამომეღვენთა გულიდან წვეთი
და ერთი წვეთით გავხდი ნაკლები.

ამომეტვივფრა თვალწინ ოფორტი,
ღრუბლიან დღეთა მიკვირს მარულა,
ლექსია ჩემი სულის კომფორტი,
გულის სიღრმეში რომ შეფარულა...

16.05.1986, თბილისი

18 მარტი

მეგობარს – მირიან მირიანაშვილს

მარტია, დღე ღამეს ეწევა,
ვიცი, რომ სულ მალე გაუსწრებს.
სადა ხართ: თამუნა, ქეთევან,
ლიზიკო, თინიკო, ირინე?..

მარტია, – „ინ ვინო ვერიტას“,
თვრამეტი რიცხვია, მაუწყეს.
ზემელის, ვაკესი, ვერისას
გოგონებს, ნეტავ, ვინ გაუგებს?!

დღეები რა ზანტად მიდიან,
მარტში ხომ წვიმები იწყება...
გულდასმით ყურს ვუგდებ მირიანს,
ქალებზე ამბებს რომ მიყვება...

18.03.1987, თბილისი

ვასილ სოფრომაძეს

თენდება, ვასო, – გაფრთხილებდა დილიდან დედა.
ვასო, სწორია, – აღნიშნავდა ხშირად მურადი[1].
მუდმივი ზრუნვა სამშობლოსთვის გარგუნა ბედმა,
მოყვასის სევდა მხრებზე გაწევს შრომით
შულადირს[2].

ვასო, დაყოვნდი, დაისვენე, – ამბობდა მამა.
გაძლევდა დემურ[3] ამოცანებს – ციფრების მსახურთ.
ცხოვრების გზაზე გიგანტური ნაბიჯით მავალს,
ბავშვობის ხიბლი გინათებდა გეგმებს დასახულთ...

ახალგაზრდები დგანან შენთან და შენებია...
მიზანი, სწრაფვა, აზროვნება მომავალს ბადებს, –
თაობებისთვის დახარჯული ეს ენერგია
მშობელი მიწის თითო მტკაველს კელაპტრად
ანთებს...

თენდება, ვასო, – გესმის ახლაც ხმა გასულ დღეთა.
ვასო, სწორია, – დასულია ეს ხმა გულამდის.
მუდმივი ზრუნვა სამშობლოსთვის გარგუნა ბედმა,
მოყვასის სევდა მხრებზე გაწევს შრომით
შულადირს...

1.07.2018 წელი, თბილისი

---

[1] მურადი – ფიზიკის პედაგოგი მურად კვიკვინია

[2] შულადირი – (მეგრ.) დაღლილი

[3] დემურ – მათემატიკის პედაგოგი დემურ ზერაგია

უკიდეგანოდ მარადიული

პოეტ მიხეილ ღანიშაშვილს

შენ კარგად იცი, რა არის ლექსი, –
ქართული სიტყვის ნაზი მირონი.
როცა ზეციდან მუსიკა გესმის,
ვერ მოგასვენებს ერთი სტრიქონი.

ვერ მოგასვენებს სტრიქონში ბგერა
და თუ ეს ბგერა გასცდა ნაპირებს,
მაშინ იწყება შენი სიმღერა,
რაც სამყაროსთან დაგაკავშირებს.

შენ კარგად იცი, რა არის სიტყვა, –
წინადადების სწრაფი დინება,
ვით ჭაუხებში წყაროს გულისთქმა,
შავი არაგვის გადმოდინება...

ეს ყოველივე არის წამება,
ეს ყოველივე არის ღვთიური
და ისე, როგორც წმინდა სამება,
უკიდეგანოდ მარადიული...

10.12.2018, თბილისი

ქარტეხილების გამძლე ირაო...

პოეტ თენგიზ (ჩოქო) მხეიძეს

სამოცდახუთის უკვე შესრულდი,
კიდევ ერთს იმდენს გისურვებ, ძმაო,
დათოვლილი ხარ, როგორც თეთნულდი,
ქარტეხილების გამძლე ირაო...

ზვიადს მაშინაც გვერდით ედექი,
ჯვარცმის როდესაც ელოდა ტვირთი,
სასტიკ ბრძოლების ცეცხლთან მედეგი
მოიგერიე ორგულთა ზვირთი...

შენით ქართული გენი მემკვიდრობს,
კონსტანტინეს და დავითის მოდგმავ,
მართალ საქმისთვის ვინ შეგეხიდოს,
ვინ გაგიბედოს წინ გადადგომა...

საუკუნეთა მემატიანევ,
ქართველი კაცის ხედვავ, ამაყო,
გთხოვ, აიტანე, გთხოვ, აიტანე
ამ დღეთა რბოლა უმისამართო...

12.10.2018, თბილისი

გრეტა ნანავას

ჩასვლისას მზე რომ წყალში ბანაობს,
ზედაპირს ათენს სხივების ქადილს;
მუხლმოყრით ხვდება ერი თარაონს, –
უდაბნოში კი წვეთიც არ არის;
აგორას მთაზე უძველეს ბერძენს
შთააგონებდა თავად ათენა, –
აეგო დიდი ტაძარი, ღმერთებს
მშვენიერება რომ დაეთენა...
მყინვარწვერიდან თოვლის კარავმა
გადმოაფინა ნისლები გერგეტს;
ჩამოაწვება კახეთს დარაბა,
თუ მზის სხივები მტევნებს ვერ შერთეს;
უფრო სევდიან სიმღერებს იტყვის
სამეგრელოში მეგრელი კაცი,
დაღონებულა საცრფოზე ფიქრით
და გასაჭირი ყოფას არ აცლის;
წყდება ხობისწყალს გულზე საკინძე,
გამოანათებს მკერდი – ალმასი;
რიონი ღამით თუ დააპირებს
გრძნობით აინთოს, როგორც პარნასი;
ვხედავ, ალერდი ცვარმა დანამა,
სოფლად ბავშვები ეკვრიან ბადიდს...
მშვენიერია გრეტა ნანავა,
როდესაც იგი დარბაზში დადის...

18.02.2018, თბილისი

ალექსანდრ კვარცს

ჩემს მეგობარს – ფიზიკოსს, მუსიკოსს, სიბრძნისმეტყველს

ჯიმი ფეიჯის აუღერება და სიბრძნის ხარჯი
ვერ ეპუება მედროვეთა ყალბ რეგალიებს,
მთელმა მსოფლიომ აღიარა ალექსანდრ კვარცი,
ვით ჭეშმარიტი აზროვნების ხმა – მოგალობე...

აინშტაინი, რეზერფორდი, ლანდაუ, ბორი,
პლანკი, დირაკი, – უამრავი გვაქვს მაგალითი...
ჭეშმარიტების ლაბირინთებს მიყვება სწორი,
მრუმე ღამეში მოელვარე, შუქის ნაკადი...

წინ უამრავი გველოდება საქმენი მარჯით...
როგორც სოკრატე, ფეხშიშველი, ქვებზე აბიჯებს, –
ვჭვრეტ, კოლხეთიდან იდეებით ალექსანდრ კვარცი
საუკუნეებს პლატონივით გადააბიჯებს...

4.06.2018, თბილისი

პალიტრა

მეგობარ მხატვარს – დავით თოთიბაძეს

ივსებოდნენ ოტელები სრულად,
სიამაყე ეღვრებოდა თბილისს,
პორტიე კი, უძვირფასეს სტუმარს,
ახვედრებდა მომლოდინე ღიმილს.

მოგზაურნი ეცნობოდნენ წვრილმანს,
აწუხებდათ ზოგჯერ კითხვა მწველი,
აივნებზე მანდილოსნებს ჭვირვალ
ვუალებზე აეფარათ ხელი.

მეიდანთან მერამდენე გუმბათს,
ალიონზე მზის სხივები წათლის,
ნარიყალა ემსგავსება სურათს,
ალაგ-ალაგ გაცრეცილს და წაშლილს.

გოგირდოვანს ჩაისუნთქავს ჰაერს,
აბანოთა ესახება რიგი,
გადახედავს ფერადოვან ნაერთს,
ფიროსმანი დუქანში რომ მიდის...

აღწერილი ეს უბრალო დილა,
დაუამებს მომლოდინე ტკივილს,
მტკვრის გასწვრივი ქარი ფოთლებს ჩრდილავს,
ფუნჯის მოსმით ხოტბას ასხამს თბილისს...

4.07.2020, თბილისი

მლეთა

ვაჟა ბუჩუკურს

იზნიქება სიგარეტის ბოლი,
ყავის ორთქლი ნამავს ტუჩის უბეს,
გამოჩნდება ჰორიზონტზე ზოლი,
სადაური სად დაიდებს ბუდეს...

დილის შუქზე ფერს შეიცვლის მცხეთა
სვეტიცხოვლის ბუმბერაზი ჩრდილით.
წამო, ძმაო, მოვილოცოთ მლეთა,
ქვეშეთისკენ გავყვეთ ვიწრო ბილიკს.

გერგეტადან გადავხედოთ მყინვარს,
დავივიწყებ მოზღვავებულ ტკივილს,
ვესალმები თერგს არაგვთან მყვირალს,
სნოს ხეობა მომაყოლებს ღიმილს...

ქალაქში კი, ყავა ტუჩებს ალბობს,
შედარებით საღამოა თბილი...
ანანურთან ჩამოვლილი, ვამბობ, –
ამის შემდეგ გზა საითკენ მიდის?!

9.11.2019, თბილისი

ნანა ბეთხოშვილს

დილის კრწანისი თავს იწონებს, ვდგავარ ჩეროში,
ხიდან ჩიტები მუსიკალურ ბგერებს შემთხოვენ.
ვხვდები, გლდანისკენ მიმავალი, ნანა ბეთხოშვილს, –
თავისი საქმის კომპოზიტორს, მოცარტს,
ბეთჰოვენს...

ჩადიოდნენ რა, პოეტები, ლექსის ბოლოში,
დათვიქრებულნი გამოთქვამდნენ აზრს და
მეტყოდნენ:
რა მოხდენილად ათასებო ნანა ბეთხოშვილს, –
თავისი საქმის კომპოზიტორს, მოცარტს,
ბეთჰოვენს...

ნაღდად არა მაქვს პრეტენზია სიტყვის მედროშის,
ახლობლები კი, ჩემგან მაინც, ლექსებს ელოდნენ.
მოეწონება, რასაც ვუძღვნი, ნანა ბეთხოშვილს, –
თავისი საქმის კომპოზიტორს, მოცარტს,
ბეთჰოვენს...

P.S.
ვერ შევედრები, რა თქმა უნდა, კალმის ბეთჰოვენს, –
დიდ გალაკტიონს, მისი ჩრდილის, ვფიცავ,
რომ არ მშურს.
ორიოდ სტრიქონს კიდევ მივწერ ნანა ბეთხოშვილს
და კმაყოფილი გლდანისაკენ განვაგრძობ
მარშრუტს...

1.05.2019, თბილისი

მარიამ ბერიშვილს

მეგობრების – ბაკურ ბეროშვილის და ციცო ცაკაშვილის
ქალიშვილს, დიდი ილო ბეროშვილის შვილიშვილს

ხარ ბაკური და შენა ხარ ციცო,
ილიას მიერ ვაზი ჩაყრილი...
ბუნების ხიბლად მზის სხივებს ცრისო
ახლა კახეთში მყოფი აპრილი...

უნდა იცოდე, – ყველას ვით ერგო
ესეთი ბედი ლიროსანისა...
ქართული მიწის ხნულო და ნერგო,
შემკულო ყალმით ფიროსმანისა...

ვგრძნობ, გაზაფხული დროდადრო ფიცხობს,
ვჭვრეტ, როგორ ზრუნავს შენზე აპრილი...
ხარ ბაკური და შენა ხარ ციცო,
ილიას მიერ ვაზი ჩაყრილი...

29.04.2018, თბილისი

ელეგია

უფროს მეგობარს – რევაზ გუნიას

რა ქნას კაცმა, როცა გარეთ წვიმს,
ნაცნობ ადგილს ვერ აუქცევს მხარს...
ცრის გონება, უსასრულოდ ცრის
ამქვეყნიურ ყოველნაირ დარდს.

სჯერა ხვალის მოწმენდილი ცის,
სწამს, რომ ლაღად გაანათებს მზე,
გაიხარებს წარმატებით სხვის
და უკეთესს ელოდება დღეს.

გარეთ ახლა წვიმს და ისევ წვიმს,
გულ-მკერდს უშვერს დასავლეთის ქარს...
ცრის გონება, უსასრულოდ ცრის
ამქვეყნიურ ყოველნაირ დარდს.

13.10.2018, თბილისი

გულმართალ კაცს

მეგობარს – თემურ წიკლაურს

ხარ გუდამაყრის არწივი,
ბევრ უსახურთა მხილველი,
შთამომავლობას დასწივი, –
საქართველოა პირველი...
განგება ვეღარ წარგტაცებს,
შენს მისწრაფებებს, სულიანთ,
ვიცი, რომ შენებრ ვაუკაცებს
მეტი სილაღე წყურიათ.
გწამდეს, ანათებს ცაზე მზე,
ზღვა ხან წყნარია, ბობოქრობს,
ხენი მთას უწევს კალთაზე,
შემოდგომაზე ვით ოქრო...
და შენც ამაყი სხვა ხარო, –
ამ მთა და ბარის ნახმლევი...
კვლავ გადასძახებ სამყაროს:
„თემურ არს ჩემი სახელი“...

14.03.2018, თბილისი

კახეთში

თამაზ ტატურაშვილს

კახეთში მივალთ, – ცაა ლამაზი,
მთები რქებივით დაგრეხილია...
აქ დავაუკაცდა თურმე თამაზი,
აქ დაიბადა დიდი ილია.

აქ შვილივით ჰყავთ ვაზი ნაზარდი,
მწიფე მტევნების მიკვირს ზმორება...
კახეთში მივალთ, – ამბობს თამაზი
და მზეს თვალებით ეამბორება...

7.05.2016, თბილისი

„ღამე ყორანივით შავი...“

თემურ ფირცხალაიშვილს

გზა არის ვრცელი, განცდებით სავსე,
თუმცა, მუსიკით კვალი წაშლილა...
აგორებული ტალღების ნავზე
ასვლა გაბედა შლეგმა, შეშლილმა...

უბედობისგან ვერავინ შველის,
რადგან ღამეა ირგვლივ ყორნისო,
აქვს რითმით სავსე ლექსის საბძელი
და შთაგონება უკომპრომისო...

20.07.2020, თბილისი

* * *

მეგობრებს – ამირან კობახიძეს და ბუჭა კერვალიშვილს

როცა ამირანს ვამბობ,
მე არ ვგულისხმობ ნიცშეს,
არც რემბრანტსა და ვან გოგს,
არც ლეონარდოს სივრცეს,
არც ორ კარუზოს, გიგანტს, –
რამაზოტის და მესის,
მათთან რომ ვეღარ მივა,
ძალიან კარგად მესმის...
მე ვიგულისხმებ რაჭას, –
ქართული მიწის მოდერნს,
გააკვირვებდა მხატვართ:
სეზანს, რენუარს, როდენს...
მე ვიგულისხმებ ვაუკაცთ, –
მათთვის ხოტევი რეკავს,
რაჭის მთებისკენ მავალთ,
სამშობლოსათვის მფეთქავთ...
ვგრძნობ, გულისყურს რომ მანდობთ,
არ ვიხარჯები ფუჭად,
როცა ამირანს ვამბობ,
მუდამ ვგულისხობ ბუჭას...

12.12.2012, თბილისი

იას

ბიძაშვილის, ულამაზესი ია დოლბაიას ხსოვნას

მარტია ახლა თუ ვარდობისთვე, –
ეგ სულერთია...
შენ ნაწამები და ნადარდალი
შეაღებ კარებს სულეთისას,
სხივს გამოაკრთობს შუადღის მზე
და სულს მოითქვამს დღე ნაავდრალი
და გნატრობ, ია
(შენ ხომ ცხედარი შეცდომით გქვია).
მარტია ახლა თუ ვარდობისთვე...
უარმყოფელი სიკვდილისა შუაღამის მზე
დაგიცავს, ია.
მე მხოლოდ ლექსით დავნამავ ფურცელს,
უღუნოდ ვუმზერ
დედის ტანჯვას და ტკივილს
და ბავშვის ჩივილს:
სად წაიყვანეს დედა?

7.05.1990, თბილისი

* * *

ძმის, მამუკა დოლბაიას ხსოვნას

აყვავილდა წელსაც
კონტურები ბლის,
გადაფარა სევდა
მოღრუბლული ცის.

ტოტებიდან წყდება
თეთრი ფიფქი ხის,
ქარის ამყოლ ნებას
საცერივით ცრის.

აქეთ ზოგჯერ მზეა,
ზოგჯერ ძლიერ წვიმს,
ზღვიდან ისმის ღელვა,
ტალღებიდან ქრის.

მოგონების დროა,
ჭვრეტა განვლილ გზის,
განახლდება გლოვა
ომში წასულ ძმის...

23.06.2020, თბილისი

დამთავრდა ჟამი

პოეტ თემურ ფირცხალაიშვილს

დამთავრდა ჟამი, ერთი ცრემლი
მთელ ტკივილს ძალავს.
რაც გინაღვლია, ათჯერ უფრო
მეტი ვინაღვლე.
მარტია, გლოვა შემოაწვა
მოწყენილ ქალაქს
და შენს თვალებში ვეღარ ვხედავ,
ძმაო, სინათლეს...

გაქრა წარსულიც, წამიერად
ხედვა არ არის,
დამძიმებული მელანდება
ხეთა ჩრდილები,
მახსოვს, დიოდა საწნახელში
ლექსის ბადაგი,
ვეფიცხებოდით პოეზიას
პილიგრიმები...

დამთავრდა გლოვა, ცრემლებს მაინც
ვერ ვატან ძალას,
გულში იხვევდი გაუმხელელ
დარდის სანახებს.
მარტია, მაღლობს მივუყვები,
შენს ბოლო ალაგს,
იქვე, საფლავთან დაშვებული
სხივი მანახებს...

13.03.2005, თბილისი

* * *

თემურ ფირცხალაიშვილის ხსოვნას

შევსებულია გული ტკივილით,
კმაყოფილებაც ზოგჯერ თან ახლავს.
აღარ მჩვევია ბედთან ჩივილი,
დილა პირქუში რადგან განახლდა...

შევსებულია სიმწრით ფიალა,
გადმოდინდება დარდი ნამეტი,
გამოვთქვამ სიტყვებს, აზრებს კი – არა,
მაისის დღეა, რიცხვით – ცამეტი.

შევსებულია ტკივილით გული, –
დრო არის ფიქრის და საპარნასო,
ბგერას თითეულს ბავშვივით ვუვლი,
თემო ზეციდან ლექსებს მკარნახობს...

13.05.2019, თბილისი

უცნობ აფხაზ მეგობარს

დღემ მოილია ღამე დილიდან,
ვიცი, განწყობას კარგს რომ მიმადლებს,
ღიმილი ცვივა ჩემი ხიდიდან,
ჩემი სახლიდან მოჩანს სინათლე.

ომი დასრულდა, მშვიდობის დროა,
სხვა გზა აქედან აღარ არსებობს,
გთხოვ, სიყვარულში შემეზიარე,
გთხოვ, სიყვარული გამიასკეცო.

გთხოვ, კანკალეშა, მოხვიდე ჩემთან,
ერთმანეთისთვის გავიჯებიროთ
და როცა ერთად წარვდგებით ღმერთთან,
ღმერთი დიდია, ცოდვებს შეგვინდობს...

17.02.2021, თბილისი

რაჭა

მეგობარს – დემნა მიქიაშვილს

როდესაც მთებში ღამე ენთება,
ჩამოატარებს რიონი ნაღველს.
ნაქერალას ხომ დარდი ექნება,
თუ, ჩემო დემნა, რაჭას არ ჩახველ.

ნიკორწმინდა ვით სანთელი კანდელს,
ჩამოღვენთია მიწას მიგებულს;
როცა შაორი მიიღებს ნათელს,
თუ სადმე ნახავ სურათს დიდებულს?!

როცა კაცები ქეიფს იწყებენ,
მანდილოსნები აწყობენ სუფრას.
აქ ბარაკონის ზარით იგებენ, –
რა დრო გასულა და რარიგ უყვართ...

ისმის სიმღერა, – ქართული სიტყვის
აუღერება და აგუგუნება.
აქ სადღეგრძელო ამოდის მისით,
ხალხიც სხვა არის, სხვაა ბუნებაც...

ისევ ჩქეფს სისხლი კოლხური, ძველი,
არც ერთი წვეთი არმად არა დის...
ფუსტები – ჩვენი სიწმინდის მცველნი,
აქ იყვნენ, – ნათლად უთქვამს ავთანდილს...

არხეინა რომ „პირველს“ დაიწყებს,
მეამაყება სამშობლოს ყმობა.
აქ მერაბიკა ხვდება კაიყმებს,
სუფრას უზის და ამშვენებს კობა...

რაჭა – უამრავ განძის მფლობელი,
რითაც სულდგმულობს მთელი სამყარო...
აქ დაიბადა „საგალობელი“, –
ასე არ არის, როსტომ, ბატონო?

ღმერთმა მზეს დიდი სითბო არგუნა,
დათუნიკა რომ გაჩნდა, სხირტლაძე...
ცეკვას არ აკლებს ცდას გიორგუნა,
„ტაში ბიჭოო“, – მიტომ შევძახეთ.

ამბროლაურში ჩასულა ბევრი,
ბატონ გურამთან, – რჩევა ენდომათ.
ხალხის სიბრძნეა უძირო ქვევრი,
ქართული სიტყვა – ღმერთის შენდობა...

რაჭა – ოცნება, სევდა, ფიქრები...
შეგიყვარდება, ერთხელ რომ ნახავ...
უნდა აღვნიშნო, სწორიც ვიქნები, –
კვაცხუთელი ვარ, რომ უთქვამს კახას...

ზაზასთან თუკი გახედავ ვენახს,
იგრძნობ, რამხელა ტრიალებს მადლი.
„ხვანჭკარა“ როცა დაიწყებს დენას,
მას დადუღებას განა ვინ აცლის?!

ამირანი და თემურ ბეშიძე,
გულბაათ, ჯემალ, დავით, კუხლეევან...
ეს სახელები, თანაც ზედიზედ?! –
გაუჭირდება მტერს ჩვენი ძლევა.

აქ გაუზრდიათ ფუსტებს გმირები,
მტერთათვის კარი რომ ჩაურაზავთ...
აქ თითეული არის პირველი:
ფარნავაზ, ბექა, ბეჟან თუ ვაჟა...

და ისევ მთებში ღამე ენთება,
ბუნების ხიბლი ატყვევებს მრავალთ.
ნაქერალას კი დარდი ექნება,
თუ, ჩემო დემნა, რაჭას არ ჩავალთ.

25.08.2012, თბილისი

ვენეცია

ვენეციაა სათნო მანდილი,
პოსა და პიავეს
ეხება ნაპირებს,
ვნებების წადილი
აოცებს შათირებს...
კედლებს ეცვლებათ
რუხი იერი,
ძველ ჰანგებს მღერის
გონდოლიერი...
ტაძრების ქორო
სან-მარკოს სერავს...
მეტყვის – „ბონ ჯორნო“,
ვიღაც ქალი
და „ბუონა სერა“...

22.10.2018, თბილისი

რომი

რომს აღტაცებით
ვუკოცნი კალთებს,
გადავწევ ფარდებს
ათასწლეულთა;
პატრიციების
მოვუხმობ ლანდებს,
კოლიზეუმის
ტრიბუნებიდან.
შემიპყრობს სევდა
გლადიატორის,
ვისაც დაადეს
გულმკერდზე შუბი;
დღეს ვატიკანის
კოლონადები
ლეონარდოს და
რაფაელს მჩუქნის.
აქ ყველაფერი
შუქმა დაფარა,
აქ ყველაფერი
აღსდგა ფერფლიდან
და სევდით სავსე
მძიმე მათარა
სან პიეტროსთან
შემომეფლითა...

17.11.2018, თბილისი

ბერგამო

ძველი ბერგამო
ძლიერ გავს კანდელს,
მრავალი სანთლის შუქთა მშვენებით.
მე, როგორც მნათეს,
რეკვით გადაღლილს,
მხნეობას მმატებს „პიაცა ვეკია“.
იდუმალების ანარეკლია
ამ ადგილების
თითო მტკაველი,
დიდი მოწამე ალესანდროა
მათი შემწე და
მათი მფარველი...
ფიქრებს დროებით
განზე გადავდებ,
მესმის წარსულის ძლიერი ექო.
აქ ეძიებდა
ტექსტს ეზოთერულს,
ხელის ცეცებით, უმბერტო ეკო...
ძველი ბერგამო
სანთლის შუქია,
ძლიერ გავს კანდელს ფერთა ციალის.
მე, როგორც მნათეს,
რეკვით გადაღლილს,
მრჩება იმ დღეთა ინიციალი...

5.06.2019, თბილისი

შურიშ რტინი - სულის ლტოლვა

(მურთაზ ჩახავას ორი ლექსის თარგმანი)

შურიშ რტინი

ეკისერუ უსერეთ,
ცა გიორე ონგარ დღას...
ქარ იგანს დო ფურცელენს
ევრე-ავრე ოფართხანს.
გოვალ, გოტყვაც თოლონჭეს,
ცაქ გიხირუტ საბუალეს,
შკურნაფილ ტორონჯეფქ
გოლა გეგნიტკარჩალეს.
სო იდი დო სო ფურინი,
სო იდი დო სო ფურინი,
ქარწყექ მუჭო დოვღურინი,
ნიტე ღურელ ქოპუნინი...
გურქ აკომცუ ქუმუცალო,
თოლეფქ ეკმაფშ ვალუას,
მუ გურზუ დო მუ მუცადუ
ჩხანაშ გითოფალუას.

1964 წანა, ფუთი

სულის ლტოლვა

შეღამდა, თუმცა არ არის ღამე,
ცა დასდგომია დღეს მოტირალეს...
ძლიერი ქარი დასწვდა სავანეს,
ხეების ფოთლებს არხევს, აქანებს.
თვალსაწიერზე ჩამოწყდა ელვა,
სამზეო ნიშში ცა გაითელა,
მტრედების გუნდსაც დაეტყო ღელვა,
მაღლობს შრიალით გადაესვენა.
სად დაიბადე, გაფრინდი ურჩი,
საით წახვედი სევდის სადარი,
ხედავ, რომ სიკვდილს ძლივს გადავურჩი,
მკვდარი შემმოსე მიწის საფარით...
გული ემსგავსა მარცვლების ცვენას,
თვალებს აეკრა ელვის აფრები,
ვით დაველოდო მზის გამოჩენას,
როგორ გავუძლო სხივებს დაფერილთ...

23.04.2015, თბილისი

ღორონთი დო მარდიანი

ახავაი ჩქიმიშენი,
გურ ჯაბენსუ დარდიანი...
სი მირსხი დო სი მიშველი,
ღორონთი დო მარდიანი.

მა სქან მონა, სი ჩქიმ მინჯე,
მიყორდანი ართიანი,
ჰა, ჩქიმ გური იორინჯე,
ღორონთი დო მარდიანი.

ეშმაკ ძალენს ჯინიშენი,
ეშმაკ უჩა ღართიანი,
სი მირსხი დო სი მიშველი,
ღორონთი დო მარდიანი.

1972 წანა, ფუთი

ღმერთი ხარ და მადლიანი

აწმყო რწმენით გამიმთელე,
გული დარდობს დარდიანი...
დამიფარე და მიშველე,
ღმერთი ხარ და მადლიანი.

მე მონა ვარ, შენ – პატრონი,
სამყაროა ერთიანი...
ჩემი გული შენ გეკუთვნის,
ღმერთი ხარ და მადლიანი.

სატანა კვლავ ძალობს ძლიერ,
შავი საქმით, ბარდიანით...
დამიფარე და მიშველე,
ღმერთი ხარ და მადლიანი.

3.09.2015, თბილისი

სარჩევი

ავტორისაგან 3

ივანე ამირხანაშვილი

პოეტი არქაული ღიმილით 4

მიხეილ ღანიშაშვილი

ლექსია ჩემი სულის კომფორტი 8

გვანცა დოლბაია

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი 13

მაწუხებს სიტყვა გამოუთქმელი,
ამოუთქმელი ლექსი მაწუხებს

ამოუთქმელი ლექსი მაწუხებს 15

არ მინდა 16

ლექსი 17

* * * (დამტანჯავს მუდამ რითმების კვეთა...) 18

ლექსის შემდეგ 19

თარიღი 20

რეკავენ ზარები 21

ალექსანდრ კვარც 22

ქაირო 23

შობა 24

ედვარდ მანე 25

დეკემბრის მიწურულს 26

ზამთრის სურათები 27

გათენება 28

ექსპრომტი 29

ჰორიზონტს მიღმა 30

პრელუდია 31

ჟანნა ებიუტერნ 32

მთიბელები 33

ბურანი 34
ბლონდის გზები 35
შეღამების ფრაგმენტი 36
გერშვინი 37
მეორე ვალსი 38
ზამთრის ღამე 39
წყაროს ხმა მესმის 40
ნიკო ფიროსმანი 41
ზამთრის პეიზაჟი 42
ჭადრის ფოთოლი 43
ბაღი წინანდლის 44
გამთენიისას... 45
არქაული პეიზაჟები 46
სცენაზე... 47
სასაფლაოსთან... 48
ქალო 49
* * * (ჩატანებული ვარ წვიმის წვეთში...) 50
განწყობა 50
ისევ მარტია ძალაში... 51
გადაფასება 51
ტერენტი გრანელი 52
უთენია 53
იდილია 54
სიმღერა 55
ზამთარი 56
შემოდგომა 57
გათენება 57
* * * (დარდი აღარ გადარდდა...) 58
რეტრო 59
მოხევე გოგონას 60
მოგონება 61

ვგრძნობ, უზარმაზარ სევდას ვატარებ, –
მშობლიურ მიწის მკერდში გამოკრილს

ბარათი მყინვარს 62
საქართველო 63
წმინდა ნინო 64
9 აპრილს წამებულთ 65
მარაბდა 65
„კოლხური კოშკი“, 1992 წლის 15 მაისი 66
მზის გამოსახვა მშვიდი 67
ექვთიმე 68
არაგვის ხეობა 69
ხერთვისის ციხე 70
შინდისის გმირებს 71
საფარა 72
ოკაცე 73
გადასახედი 74
სნო 75
თელავი 76
ბეთანია 77
ნეკრესი 78
ფოკას დედათა მონასტერი 79
„კოლხური კოშკის“ ზმანება 80
არმაზი 81
გერგეტის სამება 82
როცა ასეთი სიყვარულია 82
ზედაზნიდან... 85
* * * (ქართველი იყო, ძალზე ძნელია) 86

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი

* * * (ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი) 87
მაისის ღამე 88
ზამთრის ხედები 89
ფოთლები ქართა 90
ექსპრომტი ხათუნას 91
მეუღლეს 91
ოცდამეშვიდე მიძღვნა 92
გვანცას 93
თათულის 94
ნიშანი ღვთისა 95
წერილი 96
ხარ უდიდესი ვალდებულება 97
ადრეული გაზაფხული 98
შემოდგომა 99
ორმოცდამეთვრამეტე 100

ჩინართა შორის, სევდიან დღეს,
იბრუნებს ფერს ფა ზისის ცა...

ჩინართა შორის 101
ზღვა მიმწუხრისა 102
შეღამება 103
ჩანახატი-1 104
ჩანახატი-2 105
მშობლების ხსოვნას 106
მოლოდინი 107
ვიოლინო და ზღვა 108
შუქურა 109
ღრუბლის მელოდიები 110

შეფერადება 111
ჩანახატი-3 112
ფოთის სანაპირო 113
მალთაყვის სანაპიროზე 114
შვეიცარია, ციურიხი, როტშილდების ოფისი 115
სათავეებთან 116
შემოდგომის დასასრული 117
ბავშვობის მეგობარს 118
ნოსტალგია 119
ოქროს ნაპირი 120
ფოთი 121

მიიღეთ ჩემგან ძღვენი ამგვარი, –
ერთი ფურცელი, სიტყვით გამთბარი

ბატონ თენგიზ უთმელიძეს 122
თენგიზ ბურჭულაძეს 123
ოფორტი 124
18 მარტი 125
ვასილ სოფრომაძეს 126
უკიდეგანოდ მარადიული 127
ქარტეხილების გამძლე ირაო... 128
გრეტა ნანავას 129
ალექსანდრ კვარცს 130
პალიტრა 131
მლეთა 132
ნანა ბეთხოშვილს 133
მარიამ ბეროშვილს 134
ელეგია 135
გულმართალ კაცს 136
კახეთში 137

„ღამე ყორანივით შავი...“ 137
* * * (როცა ამირანს ვამბობ...) 138
იას 139
* * * (აყვავილდა წელსაც...) 140
დამთავრდა ჟამი 141
* * * (შევსებულია გული ტკივილით...) 142
უცნობ აფხაზ მეგობარს 143
რაჭა 144

იტალიური ჩანახატები

ვენეცია 147
რომი 148
ბერგამო 149

შურიშ რტინი – სულის ლტოლვა
(მურთაზ ჩახავას ორი ლექსის თარგმანი)

შურიშ რტინი (მურთაზ ჩახავა) 150
სულის ლტოლვა 151
ღორონთი დო მარდიანი (მურთაზ ჩახავა) 152
ღმერთი ხარ და მადლიანი 153

ალექსანდრე (ალეკო) დოლბაია

ჰორიზონტს მიღმა

რედაქტორი:	ივანე ამირხანაშვილი
მხატვრული რედაქტორი:	გვანცა დოლბაია
ტექნიკური რედაქტორი:	გოჩა სოზიაშვილი
ყდის მხატვრობა:	თამარ შიუკაშვილი
ყდის დიზაინი:	დავით გვასალია

გადაეცა წარმოებას 22.03.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2021

160 გვ., ტირაჟი 500 ეგზ.

გამომცემლობა „ქართული წიგნი“

თბილისი, ივ. მაჩაბლის ქ. #15

2021

ალექსანდრე დოლბაია – დ.
1962 წ. 12 მარტს ქ. ფოთში.
1979 წ. დაამთავრა ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახ. #2 საშ. სკოლა.
1984 წ. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი.
1981 – 1984 წ.წ. – თსუ ფიზიკის ფაკულტეტთან არსებული ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დირექტორი.
1984 – 1999 წ.წ. – თსუ ნახევრადგამტართა ფიზიკის ს.კ. ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი.
1984 – 1994 წ.წ. – თსუ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.
1994 წ. – ფოთის მერიის „კომპიუტერული სტამბის“ დირექტორი.
2005 წ. – ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საგამომცემლო სამსახურის ხელმძღვანელი.
2005 – 2012 წ.წ. – იტალიური კომპანიის „Indesit Company International B.V.“-ს კონტრაქტორი.
2013 – 2017 წ.წ. – კომპანია „JULY“-ს დირექტორი.
2017 წ. – კომპანია „ფრესკოს“ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრ „ფრესკოს აკადემიის“ ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ხათუნა ამაღლობელი და ორი ქალიშვილი – თათული და გვანცა.